

საცდელო კუპა

იდიოჟ ჯგუფ
(1661-1683 ლ.ლ.)

თბილისი
2015

რედაქტორი

იულონ ტოლიაშვილი

XVII ს. საქართველოს სამეცნ-სამთავროები-სათვის ძნელბეჭობის პერიოდია. მხოლოდ გარე-შე მტრების სიძლიიერე კი არა, შინაგანი სოცია-ლურ-პოლიტიკური და იდეურ-კულტურული დაქვეითება-დაცემა უწყობდა ხელს ყოველივეს. ერთი ასეთი მაგალითია განხილული წინამდე-ბარე ნაშრომში.

წამკითხავმა გაარკვიოს, რამდენად დავშორდით ასეთ მოვლენებს.

წიგნი აეწყო და დაკაბადონდა





ეშმა — გამკვირვებია სიბრიყვე კაცთა,

ზოგი მაშინვე ხელს ჩამოუშვებს, ზოგი ვერც ხვდება. ამაოა ცდა
მე მწყევლიან და მერიდებიან, თან ემატებათ შიში და რიდი
პირჯვარს იწერენ, შიშმილსა სომქენ. ფიქრობენ ნახეს თავშესახიდი
ჯერ ხომ ძალა არ მიჩვენებია, ვინც არ მიწამა ის თავნებია
ვნახოთ უჩქრიდ რას მაღწევებ, დროით წყალობა მინებებია.
ახლა რაც ხდება, დიდი ამბავი, ჩემით ბევრისთვის იქნება ავი
ზოგი ინახებს ჩემ შეგინებას, ზოგს გაუხდება მწიფე თავთავი
ბევრი ლანძღვაზე გადასულია, ჩემ ერთგულებზე გულმოსულია
მე ავურიო იმ ანგელოზებს, ვინც მათ მფარველობს, უფლის სულია
ანგელოზები სად მაჯობებენ, წმინდა სულივით მოიმღერიან
სულელებია, მე ვზი ქალებში, ეშმაკობასაც ქალები ჰქვიან
განა, როდესაც ადამი შეცდა, ქალი არ იყო მისი შემცდენი?
ქაჯი თუ მიწყივ კაცში სახლდება, ქვეწად შეიძლო რამე ჩემდენი?
მე ქალში ვსახლობ, ქალით განვაგებ, თუმც ანგელოზის არის სახება
მე ვარ, მე ძალმიძს, როგორც ვინდომებ, კაცთა ცხოვრება დაისახება.

ქაჯი — ისე საუბრობ, ძალად არა მთვლი, არა და ყველას კაცი განაგებს
კაცთა ძალაა და ჩემი ნება, რასაც უყურებ ქვეწად ანაგებს
შენი ხრიკები არი ცნობილი, ღალატობ ვინც გყავს გულით ნდობილი
ქალი დედაა, ცოლი და შეიძლი, სიძვა და ხასა, და და დობილი
და მაინც ყველა ქალი ქალია, რამდენიც უნდა კაცსა ბაძავდეს
ეშმაკობაშიც არი უძლური, როგორაც გინდა ახტეს, გაავდეს.

ეშმა — მართლა ქაჯი ხარ, ვერ გაგიგია, კაცი ქალების არი მსახური
მის გამო ბრუნავს, იბრძვის და შრომობს ტანადია, ბრგე თუ უსახური
სად გინახია კაცი უქალოდ ცხოვრებას ქმნიდეს, რამეს აღწევდეს
ქალმა თუ მხარი არ გაუმაგრა, შენ როგორ გინდა ქვეწად აღზევდეს?



ქაჯი — მაშ მოდი უამთა მროველსა ვკითხოთ,

როგორი არი კაცთა წარსული

ქალს თუ კაცს მეტი უკეთებია, კაცი წმინდაა, ქალი ავსული
ამიტომ არი ანგელოზებიც თავზე მხოლოდ კაცს დასტრიალებენ
ქალს თუ უწმინდურს ყოველ თვე სჯიან, კაცი, რომც შეცდეს
ხელს არ ახლებენ

ეშმა — გაუგებარი ვინმე ყოფილხარ, თავქარიანი, ურცხვი, რეგგინი
უამთა მროველმა რა იცის ქალის, რა უნახია ქვეყნად ჩემდენი?
ისიც არ იცი, უფლის განგებით ანგელოზების მოდგმა ჩვენია
ჩვენ ხელში ხვდება ყველა მათგანი, რომელიც კი ქალს გაუჩენია
უფალს თავისი აქვს საზრუნავი: დღე რომ შეეობდეს,

სითბო სდიოდეს

დამით მთვარე არ იძალებოდეს, შუქი მიწაზე გადმოდიოდეს
ქარი არ ქროდეს ზომაზე მეტად, წვიმა თუ თოვლი მიწას არ აკლდეს
ვარსკვლავთა გუნდი არ დაიფანტოს, მთვარე ამოვა,

გვირგვინად ახლდეს

ადამიანთა ბედი ჩვენ გვანდო, ვერავინ ნახა ჩვენებრივ სანდო
ანგელოზებად ბავშვები დასხა, როგორ აღეზარდოთ უნდა იანდო
უფალს კაცისთვის სადა სცალია, სამყაროს ბედი რომ აბარია
უნდა მიხედოს, სამყაროს ბედოან კაცის ბედი რა დასაღარია
კაცი რომ ფიქრობს შენებრ ქაჯურად: ღმერთი იფარავს, ემეგობრება
გვერდით დაპყვება, ხელს გაუმართავს, თუ მოეწონა მისი ვერდება.
სისულელეა. უფალი მხოლოდ ადამიანთა მოდგმას იფარავს
ცალკე არსებებს სად უთვალთვალოს ვინ ვის რას სხალავს

თუ მოიპარავს

კაცი როდესაც ახალ წერტის დარგავს, ხეს დასტრიალებს მთლიანობაში
ცალკე ფოთოლი თუ ჩამოვარდა, სულ არ მიიღებს მხედველობაში
უფლისთვის ხეა ადამის მოდგმა, ფოთოლი არი ადამიანი
მოდგმა დასახა უკვდავებითვის, ცალკეულს თუნდა შეხვდეს ზიანი.

ქაჯი — მართლა ქალივით ენა აიღები აზრებიც დაგდევს გაუგონარი
ეშმაკობ, ცდილობ მეც დამამცირო, კაციც დასახო ბრიყვი, მცონარი
შენ თუ რამ იცი, ან გაგიგია, ყველა ჭორებზე არი ნაგები
აბა შეხვდე, ყოველი ქალი, კაცის ტვირთია და მონაგები
სად გაგიგია ქალი უკაცოლ, მომავალს ქმნილეს, შარად აგებდეს



მიწყივ ყოფილა კაცი თუ კაცობს, ქალის ლაპარაკს არად აგდებდეს
ეშმა — ჟამთა მროველი ახსენე წეღან, იმას რად ვკითხოთ, ისიც კაცია
არც იმან იცის ქალის ბუნება, ცოდნა სხვებისა მიუტაცია
და ახლა ფიქრობს, რომ სხვებზე მეტი იცის ქალის და კაცის ბუნება?
ვკითხოთ, აგვიხსნას, რომელი სჭარბობს,

რომელს სჭირდება შემობრუნება.

ჟამთა მროველი — ეშმაკობა და გულალალობა, ადამიანის ორი მხარეა
თუ ერთს მიელტვის, მეორეს კნინობს, მისი ცხოვრება გაუხარეა
უფალმა როცა თავისი მსგავსი, ამ ქვეყნად შექმნა ადამიანი
მას მიანიჭა ყველა თვისება, რომ არ მოსვლოდა რამე ზიანი
ადამიანმა უნდა იცოდეს რა რასა ნიშნავს, ცუდი თუ კარგი
გონების ძალით თუ ვერ აწონი, ისე საქმეში როგორ ივარგი
ცოდნა ცუდისა სულ არა ნიშნავს, ცუდი თესოს და ცუდი აკეთოს
ცოდნა ძალაა, ამ ძალას ძალუძს, გაფუჭჭული გამოაკეთოს
კაცი თუ ქალი, ქალი თუ კაცი, უფლის კრავია, ორივ ერთია
კაცისთვის ქალი ქალლმერთი არი, ქალისთვის კაცი მიწყივ ღმერთია.
სულზნაომა შოთამ ეს დაგვიბარა: ის ვინც უფლისგან დანაბალია
მისთვის ორივე თანატოლია გინდა ძუ იყოს, გინდა ხვალია.

ეშმა — ზღაპრებსა ყვები, ისე გამოგდის თითქო კაცი ქალს გაუტოლდება
ქალის სინაზეც ეშმაკობაა, ზერზი სჯობს ძალას, ასედაც ხდება
უარს ვერ ვიტყვი, რომ ზოგი კაცი ჭორით,

სიცრუით ქალსაც აჭარბებს
მაგრამ ისეთიც ზომ გვინახია, კაცი ქალივთ ისწორებს წარბებს
ზოგი ცვედანი, ზოგი ბერბიჭა, განა კაცობა იმათ ეთქმებათ?
ქალის ბუნების მატარებელი, ღებად ჩავთვალოთ თუ მაინც მქებათ?
ვინც მართლა კაცობს მაინც ქაჯია, ქალის მონაა და მაღევარი
ქალი რომ იცვლის, ფიქრობს ქალს იცვლის,

კუდში მიჰყება როგორც მწევარი.

ქაჯი — ქალს კუდი სად აქვს, კუდი შენა გაქვს.

შენ ხარ ეშმაკი და კუდიანი
ქალში თუ სახლობ, სულაც არ ნიშნავს ქალი გამხდარა ეშმაკის მგვანი
მე თუ მას ვუმზერ კაცის თვალებით, არ ნიშნავს ჩემ თავს რქები ამოდის
რქიანი კაცი თუ გინახია, ქალი რქიანი აღარ გამოდის?



ეშმა — როგორ გეტყობა, მართლა ხარ ქაჯი, როგორ, რას ვამბობ, ვერ გაგიგია

მე რომ გისახავ ცხოვრების სიტყბოს, ამ სიტყბოსათვის ციხე გიგია
რაც შენა გხიბლავს, შენ სულს მიელტვის,

და შენ ბუნებას ესალბუნება

ანგელოზს ესმის ეს სხვანაირად, ჩემიც სხვა არის ქვეყნად ბუნება
მოდი შევთანხმდეთ, ჩემი თუ შენი, ქვეყნის სამწყემსოს იყოს საჩენი
უნდა შევიძლოთ ვწყევლოთ თუ ვლოცოთ, რაც წინაპართა არი ნაშენი
მე ერთს გთავაზობ, კი არ ვეშმაკობ,

ერთად განსაჯოთ სწორი თუ მცდარი

არ მოვიგონებ წარსულის ამბებს, დღეს არ გავხადოთ სხვის შესადარი
აგერ ვახტანგი, შავნავაზ ხანი, გმირობს და სიბრძნით ღრძობას ტვინი
სხვის ცოდვებს არჩევს, თავის ქაჯობა,

დაგროვილი აქვს ვით თივის ზეინი.

საქმეებს ურჩევს მეორე ცოდვილს, თეიმურაზი, მეფედ ყოფილი
თავის მხრივ ცდილობს აქეთ აუზსნას: წმინდანებს არი გამოყოფილი,
ერთი ქართლელი, ერთი კახელი, საქმეს არკვევენ იმერეთშია
სხვისა სხვამ უკეთ როგორ გაიგოს, როდის სწეურია და როდის შია.

(1661 წ. ქუთაისი. ვახტანგ მეფეს (შავნავაზ ხანად წოდებულს
სპარსელებისაგან), იმერელ დიდებულთა წევეით, სამეფო დაუკავებია
და იქაურ პრობლემებს არკვევს იქვე შეხვდა ლტოლვილობაში მყოფ
თეიმურაზს.)

თეიმურაზ I — კამაყოფილი ვარ, შენი მოწვევით, სკანდის ციხიდან,¹

აქ ჩამოველი

მითხრეს, ვახტანგი შეხვედრას გთხოვსო,

აქვს სასაუბრო რამ სასურველი

დღეს შენ ბატონობ იმერს და ამერს, შაპი გმიფარველობს,

გაქვს ამის ძალა

იყო დრო როცა მე ვბატონობდი და საძირკველი გამომეცალა

1. თეიმურაზ I – სპარსელებს გარიდებული, იმერეთში, სიძეს – ალექსანდრე იმერთა მეფეს აფარებდა თავს. მისა გარდაცვალებისა და ბაგრატის გამეფების შემდეგ სკანდის ციხე-სიმაგრეში ცხოვრობდა. იქიდან ვახტანგმა ჩამოიყვანა და შაპთან შეთანხმებით სპარსეთში გაისტუმრა. გზაში, ასტრაბადში მოხუცი თეიმურაზი უფალმა მიიღო.

რად შეგახსენო, ისედაც იცი, დიდხანს ვიყავი კახეთის მეფე
რაც მომეგუთვნა, ჩემთვის მინდოდა, მოცილეების ვიყავ შემყენე
ბედს სად წაუზეველ.

ბედის ტრიალით კახეთთან ქართლის გავხდი ბატონი
მამაშენი კი არად მაგდებდა, არ იყო ჩემი სიტყვის გამგონი
ის, სააკაძის მოკიდებული¹, ვერა ხვდებოდა, ვიყავ მთავარი
ერთიც არ იყო ჩემებრ შემძლები, ჩემებრ უბადლო მხედართმთავარი
ბაზალეთში² ჩომ ეს დავამტკიცე და მამაშენიც წელში მოვხარე
დღეს მე ვარ შენთან წელში მოხრილი, შური იძიე, მიდი იხარე.
მოდი შევთანხმდეთ, თუ რამ მაქვს ცოდვა, მოვინანიებ საკუთარ ნებით
შენ შეაფასე, წერილად განსაჯე და ნუ გადაწყვეტ თავდარწმუნებით.

გახტანგ მეფე — ცხოვრების კიბე ასე ყოფილა: ზოგი ჩამოდის

და ზოგი ადის
ქვევით მავალი ბედს ემდურება, ზევით მავალი კადრულობს ქადილს
ერთი დრო ქვეყნად ვის შერჩენია, არც მე შემრჩება, განა არ ვიცი
რამდენს შევიძლებ, იძღენს ვიომებ, ქვეყნის დიდება მაქვს დანაფიცი
შეწგან სხვაობით თავს არ ვიწონებ და სხვაზე მეტი არ მიმაჩნია
მამა მიხსენე, მისმა წახდენამ, დიდი ჭრილობა გულს დამაჩნია
შენ არ დაინდე ქვეყნის ერთგული, მამასთან ერთად რამდენი ვთვალო
მოშეურნე არ ვარ ყველა გიხსენო, გულში ჩავიდო და გითვალოვალო
მე შოლოდ ერთი უნდა გაუწყო, შაპსა ჰქონია დიდი სურვილი
კახეთი კახელ მეფეებს ეპყრათ, მოისპოს შური და სიძულვილი
მე მავალია აზრი გაუწყო, თუ დათანხმდები, გზას დაგაყენო
ბაგრატიონი, მაინც ძია წარ, ეგებ გაჩარხო საქმე საშენო.

თეიმურაზ I — ამ ცხოვრებაში, მე რომ მინახავს მსხვერპლი,

უმეტეს, ვის გაუღია
ვტანჯე-ვიტანჯე, გავეც-დავეცი, სამოყვროდ გული დავტოვე და
შვილები დავთმე, მათი ქომაგი, დედა ძვირფასი ზედ წავამატე
მტარვალს კი მაინც არ დავმორჩილდი, ამით ბოროტი გავაწიწმატე³

- ფიციო დაკავშირებული, იგულისხმება თეიმურაზ მუხრან-ბატონი.
- 1626 წ. შემოდგომაზე მოხდა გიორგი სააკაძისა და თეიმურაზ I მომხრეთა ბრძოლა, რის შემდეგ პირველი თურქეთში გადაიხევა და იქვე მოკლეს.
- შაპ აბასი, (სპარსეთის ისტორიაში ბრწყინვალედ წილებული) წლობით ითხოვდა თეიმურაზის ხლებას. ის კი შვილებსაც თმობდა დედა ქეთევან დედოფალთან (წამებულთან) ერთად და ქვეყნასაც, ოღონდ შაპს არ ხლებოდა. გაავებულმა შაპმა



ვინ დამიტასა თავის გაწირვა, და მამაშენმაც არ მიერთგულა¹
მუხრან ბატონი გვერდით მყოლოდა, რას დამაკლებდა კაცი დიდგულა
სხვა რა უწოდო მთელ სამეფოში, ვენდე და ვანდე მოურაობა
მეტი ინდომა, ვერ გაერკვია, ვის რა ეკუთვნის, მისი რაობა
ბაზალეთს შევხვდი, ქვეყნის გულისთვის, თავზე გასული, გავატიალე
მისი ერთგული თეიმურაზიც აღარ დავინდე, ავაწრიალე
დღეს შეგიძლია შური იძიო, მამის მოშურნე ხელთ გყავს მძევალი
მაგრამ იცოდე, იძას ვჩადოდი, რას მკარნახობდა სამშობლოს ვალი.

გახტანგ მეფე — ვაჟკაცს არ შვენის ქალებრ წუწუნი,

წამხდარის სხვაზე გადაბრალება

რამდენი უნდა ინანიებდეს, სხვას უთითებდეს, რას ემართლება?
სულ არ მინდოდა საწყენი მეთქეა, მამის მამიდა მეხსენებინა²
წამებულის სულს არ შევხებოდი, შენც რომ შეგინდე, — მეჩვენებინა
შე დალოცვილო, რად გაგახსენო მეფე დემეტრე თავდადებული
თავი გაწირა, მამული იხსნა, ვისთვისაც იყო გულ ანთებული
შაპ აბასს შენი დასჯა არ სურდა, შეხვედრა გთხოვა,

წლებით გელოდა

შენ შიშმა გძლია, არ ეახელი, არ მისვლა მისთვის ღალატად ჩნდოდა
მართლიც იყო, გისაყველურა: პატარა ბავშვებს ნუ ეფარები
მათთან დედაშენს მივაგებ პატიგს, ოღონდ გამიხსენ გულის კარები.
შვილები დათმე, დედა გაეცი, სამეფო ბევრჯერ ააკლებინე

თეიმურას I შვილები და დედა წამებით დაახოცინა, კახეთი გაანადგურა, თვითონ
მეფე ხელთ ვერ იგდო. იგი იმერეთს აფარებდა თავს.

1. თეიმურას მუხრან ბატონი, გიორგი სააკაძის ერთგული თანამებრძოლი იყო ქვეყნის დახსნისა და მართვის საქმეში. მათი მცდელობით გაერთიანებული ქართ-კახეთის მეფედ, გაქცეული თეიმურაზ I დაადგინეს. მადლო „დაუფასდათ“. ვინც დედა და შვილები გაწირა, ის დიდ მოურავსა და მის მომხრეებს რატომ დაინდობდა.
2. ქეთევან წამებული — თეიმურაზ I დედა და კახეთის სამეფოს დიდი დედოფალი, ბაგრატიონთა ქართლის შტოს წარმომადგენელი იყო. ქართლის ბაგრატიონებიც დროთა ვითარებაში ორ ნაწილად დაიყვნენ: სამეფო ოჯახი და მუხრან-ბატონების ოჯახი. ამ ოჯახს მიეკუთვნებოდა ქეთევან წამებული. როცა შაპის მოთხოვნა, ხლებოდა პირადად, არ შეასრულა თეიმურაზმა და მცირეწლოვანი შვილები გაუგზავნა მძევლად, ქეთევან დედოფალი ნებით გაჰყვა ბავშვებს. ტრაგიგულად დასრულდა მათი საციცხლე. შაპი, გაეკეული შეესია კახეთის და მოიხდომა გაუდეტილი კახელების მამულებში მუხლიმანთა ჩასახლება. თეიმურაზი იმერეთში აფარებდა თავს, იგი გადარჩა, სხვები დაიდუპნენ.



რაც გეკადრება, როგორ გიწოდო, ღმერთო მოთმენა შემაძლებინე მოურავს სწუხობ, რით დააფასე, დიდი გიორგის ნაამაგარი მამას არ ვჩივი, სხვა ვინ დაინდე, ბედი ვის შეხვდა შენგან სხვაგვარი¹. მეტი რა გითხრა, ზურაბ ერისთავს, ვისი იმედით ქართლში მეფობდი ქალიშვილის ქმარს, სიძეს და ერთგულს,

ვის მხარდაჭერას ყოველთვის გრძნობდი
ბოლო მოუღე, ღალატით მოჰკალ, შენ სხვის ცოდვებზე რაღას საუბრობ
სპარსეთს ნაზარდი, სპარსულად მღერი, სხვისას შეპხარი,
საკუთარს უბრობ.

თეიმურაზ I — დღეს სხვისი განსჯა ძალზე იოლობს,

განმსჯელი ზშირად განსასჯელს ვერც გრძნობს,
ასე ყოფილა, ასე იქნება, მყოფადი ყოფილს არაფრადა სცნობს
აბა იფიქრე, ვიყავი მეფე, ქართლში მეფობა არ მეთქმებოდა
მდაბიო კაცი ორივ სამეფოს თავისად თვლიდა, განა ცდებოდა
სააკამენა ძველია გვარი, მსახურნი ჩვენი ათას მაგვარი
განდიდებული ბატონს პატრონობს, ბატონისათვის როგორი არი?
ზურაბ ერისთავს მე დარეჯანი, მისი კარნაზით ცოლად მივეცი
მეფე ერისთავს რომ უმოყვრდება, რატომ? მიხვდები თუ არ ხარ მხეცი
სპარსეთს ნაზარდმა კარგად ვიცოდი, შენზე მეტს, მტერი უნდა უჩინო
მისი მცდელობით დასცა მეტოქე, შეიძლო, დარჩე, თავად უჩინო
მე არ ვუარვყოფ, თურქეთში, მყოფი, რუსეთში წასვლას ვეპირებოდი
ბედად მომისწრო მარტყოფის ომმა, უაზროდ განზე არ დავრჩებოდი
კაზთოან ერთად მეფედ ქართლისა, მიმიწვიეს და დავდე პატივი
დალოცვილებო, ბატონს ექებდით, როცა იპოვეთ, მერე რას ჩივით?
გვრძნობდი, მამაშენს ქართლის დათმობა

ჩემთვის სულაც არ ესთამოენა
ჩემით დაკარგა ყველა იმედი, რისთვის იბრძოდა ან სურდა პოენა

1. მარტყოფის ომის შემდეგ გიორგი სააკამე და მისმა მხარდამჭერმა (მოკიდებულება) მამულიაშვილებმა ქართლ-კახიის სამეფოები გააუზიანეს, გაქცეული თეიმურაზი ჩამოიყვანეს და გაამეფეს. ამაგი იმით „დაუფასდათ“, რომ თეიმურაზმა ზურაბ არაგვის ერისთავისა და დიდებულთა ნაწილის დახმარებით ბაზალეთში სძლია დიდი მოურავის მომხრებს და აძულა თურქეთში ეპოვათ თავშესაფარი. არც მომხრები დაინდო თეიმურაზმა. ზურაბ არაგვის ერისთავი (სიძე, ქალიშვილი დარქვანის მეუღლე) დალატით მოაკვლევინა. ისტორია ბევრს ვერაფერს გვაუწყებს თეიმურაზ I დადებითზე. მისი ნაამაგარის განსჯა თვითუელ მოაზროვნეს ცოდნის დონით შეუძლია.



მე რა მეანდა, მოურავი ხომ, მამაშნისა იყო ნდობილი
ბაზალეთს ომი ასე მოწიფდა, რაც ძმათა ქიშპათ არი ხმობილი
და ყველას გარდა, გულგახსნით გეტყვი, ხორეშანია ამ საქმის თავი
ძმა ლუარსაბი, ქართლის მეუფე, კაცი უმწიკვლო, წმინდანს ნაზავი
შაპ აბასს ვინაც მოაკვლევინა, ვითომ იძია მეფეზე შური
ხორეშანისთვის, მისი განდევნა ჩემი კარიდან იყო საშური.¹
უნდა იცოდე, ხშირად კაცების ნამოქმედარის წყარო ქალია
მცირეს არ ვიტყვი, ღიდასაქმებშიც ქალების წილი მისათვალია
ხორეშანი რომ ცოლად დამისვეს, შაპისა იყო ნამოქმედარი
მას რაკი მოხდა, მეც ვუპატრონე, ერთად ავაგეთ ცოდნის საყდარი
და სააკაძე ძმის მგვლელად უჩნდა, მე უნდა შური მებიებინა
სიძეს შევთანხმდი, ზურაბ ერისთავეს, თურქეთს ვუჩინეთ ორივემ ბინა
ამით ზურაბი გამითამაძა, მე რალა მექნა, მეფე ვიყავი
ჩემთვის უფლისგან გადმოცემული, ვერ დავთმე, სიძეს ვერ გავუფავი
შვილი კი, რომ არ დაჩაგრულიყო, იმერთა მეფეს გამოვატანე.
გავადედოფლე, ქმარი ვუჩინე, არსად დავყოვნდი, არ დავახანე
ახლა კი რაა, ჩემი დარეჯან, შენგან თურქეთში გაქცეულია
იმერეთს ერი დაობლებულა, სამეფო მისი წაქცეულია.

გატანგ მეფე — ღმერთია მოწმე, შენი ასულის სიავე მე არ მინებებია
კვიცი გვარზე ხტის, ასე იტყვიან, თავს დააბრალოს თუ ნავნებია
როცა დარეჯანს მოუკვდა ქმარი, და მიხვდა საქმე ჰქონდა წამხდარი,
რადგან გამეფდა გერი ბაგრატი, ალექსანდრესთან ვერ დასადარი
იანდა მყისვე, სტუმრად ნამყოფი ძმისწული ცოლად მოაკანინა.
ბაგრატიც დაპყვა. დედნაცვალი არ გადიმტერა, არ აწყენინა
ნორჩი ქეთევან, შენი ბადიში, დედოფლად დასვეს, პატივი აგეს
დარეჯანმა და მისმა ტრფიალმა ეს არ იკმარეს, სხვაგვარ განაგეს
ექვსი თვის თავზე ბაგრატს უყელეს, თვალები დასწვეს და დააბრმავეს

1. ცნობილი ამბავია. ლუარსაბ II ცოლად გიორგი სააკაძის და მოიყვანა. დიდმა თავ-ადგებმა აზნაურ სააკაძის აღზევება ვერ იგუეს. მეფეს შეუწნდნენ, დედოფლალი დაათმობინეს, გიორგი სააკაძის მოკვლა გადაწყვიტეს. ბედმა ინება. სააკაძე გადარჩა, სპარსეთის გადაიხვენა, იქ განდიდდა, მაგრამ სამშობლოს ერთგული დარჩა, სპარსელების ქართლ-კახეთიდან მოკვეთა და შეძლევ ამ ორი სამეფოს გაერთიანება მისი დამსახურება. უქმდყოფილი თავაღებმა და ეჭვიანმა თეიმურაზმა ბაზალეთის შებრძოლების მოგებით გიორგი სააკაძე სამუდამოდ მოიცილეს. ლუარსაბის ტრაგიკულ ბედს მისი და ხორეშანი (თეიმურაზ I მეუღლე) მოურავს მიაწერდა.



ცოლიც წაართვეს, თავად გამეფლენენ და უძხადებდნენ ახალ სიავეს მაგრამ დაასწრო ახალციხელმა, უცებ დაეცა და დაატყვევა ოლთისს გაგზავნა ქეთევანითურთ,

როგორიც ჰქონდათ წესი და ჩვევა¹

იმერეთს ისევ ბაგრატი დასვეს, მეფედ მიიღეს თვალებდამწვარი წინამდღოლი თუ გზას ვერა ხედავს, მიმყოლებისთვის როგორი არი? ვამეყ დადიანს მეფობა სურდა, ცდილობდა, კიდეც გამეფლებოლა იმერ თავადებს ეს არ უწდოდათ, იცოდნენ მერე რა მოხდებოლა მე მომიწვიეს, იყო სურვილი გავმხდარიყავი მათი პატრონი მეც ჩამოველი, არ დავაყოენე, აღარ დავკარგე ფიქრისთვის დრონი ვამეყ დადიანს, არჩილისათვის,² ასული ვთხოვე, მომცა პირობა, ამ გზით ერთობას გავამტკიცებდით, დამყარდებოლა შშვიდობა, მმობა ქალის ამყოლი კაცი კაცია? ვამეყმა ჩემთან გატეხა პირი ცოლის კარნაზით დათქმული დათმო, შემომითვალა უარი ძვირი შემდეგ მიამბეს, ცოლის მოთხოვნით, მეფის საცოლე აზნაურს მისცეს ბაგრატიონთა შეურაცყოფით ისე განდიდნენ, თავში ქვა იცეს გაკვირვებული მიველ იმერეთს, მსურდა გამეგო ყველა მიზეზი დადიანები ერთგული იყვნენ, რატომ შეცვალა ვამეყმა გეზი

1. 1660 წ. ალექსანდრე იმერთა მეფე ბაგრატმა შეცვალა. დარეჯან თეიმურაზის ასულ-მა (დიდინაცვალი) მას მმისწული ქეთევანი შერთო. ექვსი თვის თავზე კი აუჯანყდა, ცოლი წაართვა, დააბრძავა, თავად გახტანგ გურიელი შეირთო და იმერეთს გამეფლა. დარეჯანის უქაყაფოლო თავადთა მოწოდებით, ახალციხის გამგებელი ასლან ფაშა (ჯაყელი) დაესხა თავს. დარეჯანი, ვახტანგი და ქეთევანი ხელთ იგდო და ოლთისს გაგზავნა. მეფედ კვლავ ბაგრატი იქნა დადგენილი. ბაგრატი ადრეც ვერა მართავდა სამეფოს. გურიის, სამეგრელოს (ოლიშის) და აფხაზეთის მთავრები არ ემორჩილებოდნენ. იყო ურთიერთ შეუღლი, გაუტანლობა, ადამიანების გატაცება და თურქეთში გაყიდვა. (ამ საქმეში ერთნაირად წარმატებით „მოღვაწეობდნენ“ თავადები და სამღვდელოება). დაბრძანვებული ბაგრატი მთ უფრო უნიაოთ მმართველი იქნებოდა, ამიტომ თავადთა ნაწილმა ქართლის მეფე ვახტანგი მიწვია იმერეთის დასაკავებლად.

2. არჩილი – ვახტან V (მაპნავან ხანი. 1658-1675წ)³ ვაჟი. ვახტანგს გამეფლამდე ცოლად ფაფლანის ასული როდიმი ჰყავდა. მასთან ეყოლა: არჩილი, გიორგი, ლევანი, ალექსანდრე, ლეიარსაბი, სოლომონი, ანუკა და თამარი. როცა 1657 წ. ქართლის მეფე და სპარსეთის შაპის აღმზრდელი ხოსრო-მირზა, ქართველებისათვის რისტომ ვახტანგის ძე ბაგრატიონი, მიიცვალა, მისი შვილობილი ვახტანგი (მაპნავაზი) იმ პირობით გამეფლებოდა, თუ სპარსული წესით როსტომის ცოლის მარიამს (ლევანII დადიანის დას, სვიმონ გურიელის ცოლოფილს და იმუამდ ქრისტის) ცოლად მიიყვანდა. პილიტიკური მოსაზრებების გმაო ვახტანგ V დათანხმდა და გამეფლა. ქალის, დედოფლის ქმარი, მეფე გახდა. როდამი იძულებული იყო ქმარ-შვილი „ნებაყოფლობით“ მიეტოვებინა.



საჩხერის ახლოს ჩასაფრებული, ვამეყი თურმე ერთ ხანს მელოდა ასე ფიქრობდა, ჩემს წინააღმდეგ, იმერ-ამერი მასა შველოდა მაგრამ როდესაც არ მოუვიდა, არც აბაშიძე, არც გურიელი, შემდეგ ხოსიამ ზურგი აქცა, ვამეყი დარჩა ზურგ ცარიელი უკან გაბრუნდა ოდიშისაკენ, ახლა სგანეთში თუ იმალება ასეა, როცა კაცი ძაბუნობს და ქალის აზრი მიეძალება¹

თეიმურაზ I — მე რად მოგიყვე, თუ მამა არ გყავს,

თუ ქალი გახდა საქმის გამგები
ბედი კაცისა უკუღმა ბრუნავს, წარმატებული ხდება წამგები
მაგრამ ხომ ხდება, ქალი ვაჟკაცობს, კაცს ამით ძალა მიემატება
რაც არ უნდოდა, არ უფიქრია, თავისი ნებით დაიხატება
მუხრან-ბატონებს ქართლში მეფობა, კიდეც გდომნოდათ, არ იყო წესი
დღეს შენ რომ მეფობ, სხვასაც ეცდები, ეს ხომ ქალისგან არი ნათესი
შაპის პირობა იყო ასეთი, დედოფალს ახლად დაქვრივებულსა
თუ შეირთავდი, გამეფდებოდი, გაგხდიდა სხვებზე ამაღლებულსა
არ დაიზარე, მიეც თანხმობა, უთხარ შვილობა, გითხრა მამობა
მთელი ცხოვრება შაპიან ვიბრობდი,

შენ განამტკიცე მტარვალთან ქმობა.

სპარსული წესით, შენ დედობილი, დაქვრივებული დაისვი ცოლად
ასე შეიქმნებ მეფე-უფალი და აღარ გიჩანს არავინ ტილად
მაშ სხვას რად კიცხავ, თავად ცოლვილი და უცოლველი ვინ გინახია
ვინ გაგიგია წმინდანად ევლო და სხოვნა გულში შეგინახია
იმას არ ვიტყვი, — ვარ უცოლველი ან დარეჯანი მყავდა წმინდანი
სიძე ზურაბი მისით გაგწირე, სხვა შემძლებელი ვერავინ ვცანი
შემდეგ იმერეთს გავადღოფულე, ასე შევძინე გამოცდილება
ძალა-უფლება დიდი ხიბლია, დიდი ტკივილი, ჩამოცილება
როცა ბაგრატი მეფედ აღზევდა, დარეჯანისა ხომ იყო გერი
როგორი არი გერს უერთგულო, მუდმივად აქო მისი ნამდერი

1. ვახტანგ V, დადიანი ბენებრივ მოკავშირედ ეგულებოდა და ფიქრობდა ვამიყის ასულის რძლად მოვვანით, ერთობა განემტკიცებინა. ვამიყი ჯერ დათანხმდა, მაგრამ ცოლის დაჟინებით ასული ბეჭან ღოლობერიძეს მიათხოვა. თავად საჩხერესთან გამაგრდა, რომ ვახტანგის იმერეთს გადასვლა არ დაეშვა, ბრძოლის მოგების შემთხვევაში თავად გამეცდებოდა იმერეთში. ვახტანგს მიემხრნენ გურიელი, პაატა აბაშიძე, ლეჩხუმელთა თავი ხოსია ლაშხიშვილი. ვამეყი გაერიდა. ჯერ ოდიშს დაბრუნდა, შემდეგ სვანეთში გაიხიზნა, სადაც ვახტანგის მომხრეებმა მოკლეს.



პოდა, გაენდო ვახტანგ გურიელს, მასთან თანხმობით ბაგრატს უყელა სხვა დანარჩენი შენც კარგად იცი, რად გავიხსენო მწარე სულ ყველა ახლა შენა ხარ, შენ ხარ ბატონი და ყველას ბედი შეზე ჰკიდია ასე გადაწყვეტ, თუ ისე იზამ, დიდი ხარ, დიდის ცოდვაც დიდია.

ვახტანგ მეფე — შენ მართალს ბრძანებ,

აქლემის ქურდი თუ ნებსის ქურდი, ორივ ქურდია მაგრამ მაინც ხომ არ სხვაობა ვის, ვინ და ოოგორ გაუქურდია განა არ ვიცი ჩემი ცოდვები, მაგრამ მამართლებს დიდი მიზანი ჩვენ ცოდვებს შორის რაა სხვაობა, დაუკვირდი და ამოიცანი უარი მეთქვა შაპის სიტყვაზე, შვილების დედას რომ არ გავყოდი დელფიალი არ შემერთო ცოლად, მეფობას რომ არ ვეღირსებოდი ეს თავისთავად. უარესია შაპი ამ ნაბიჯს როგორ განსჯიდა მე ხომ დამსჯიდა ურჩობისათვის, და უარესად ჩემ ხალხს დასჯიდა. ჩემ თავს არ ვჩივი და არც ჩემ შვილებს. ჩემი ქვეყნა დაისჯებოდა დიდებულები თავს უშველიდნენ, მაგრამ გლეხობა გადარჩებოდა? მე ცოლთან ერთად ბევრი ვითიქრე და შეთანხმებით ეს გადავწყვიტეთ თუ ერს ეგუთვნის ჩენი სიცოცხლე, ერის ხიფათიც ასე დავწრიტეთ სხვა იყო შენი თავის ტკივილი და დარეჯანმაც შენ გზით იარა მხოლოდ პირადი დიდებისათვის ერს გაუჩინეთ მწვავე იარა თავის დადგება შენ არ გჩეოდა და დარეჯანიც ასევე სჯიდა მეფობა სურდა, დიდი ამბავი ამის გულისითვის გერს თუ დასჯიდა. ობოლ მძისწულსაც არ სცა პატივი, ბაგრატს მიუგდო გასაქელადა ბოროტს სიმართლემ როცა აჯობა, ოლთის გაგზავნეს სამყოფელადა ამაში ჩემი არ არის წვდილი, არც მინდა მათოვის ვიღონო რამე მხოლოდ სამშობლო არი მიზანი, მისთვის ვიბრძოლებ მე ღლე და დამე დარეჯანს ჩივი? ქალიშვილია, სისხლი და ხორცი, უნდა ჩიოდე მე ქვეენის ბედი უფრო მაწუხებს, უნდა აქედან ამოვდიოდე

თეიმურაზ I — შედეგი ვიცი. მე ჩხუბის შემდეგ,

მუშტების ქნევა არა მჩვევია
ჩემზე მდაბიოს თავს არ ვუხრიდი, შვილებიც ასე დამიჩვევია
დაიმახსოვრე, მე წავალ შაპთან, მაგრამ ბრძოლა არ დამთავრებულა
დარეჯანს ვიცნობ, ჩემი ჯიშა, და ვიცი ბედს არ შერიგებულა
არ დაწყნარდება, რამეს იღონებს, ძველს დათმობს, ახალს გამოიგონებს



იმერეთს კვლავაც დაუბრუნდება, ღროს ნახავს,
დროზე თავს მოიწონებს.

ჩემი ერეკლეც არაა უმი, შიგნით მბორგველი, გარედან ჩუმი
რუსეთშია და კახეთსა ნატრობს, გულს მოსწოლია გრძნობა ძალუმი
რას მოიფიქრებს მე ჯერ არ ვიცი, სიმართლეს ვამბობ,

მაქვს დასაფიცი
მხოლოდ ესა, ასე ყოფილა, დედის გარშემო დახტუნავს კვიცი
შაპს რომ შევხვდები, შეევედრები, კახეთისაკენ გაგვისნას გზები
მე თუ ვერ შევძლებ, ერეკლე იყოს,

ჩემგან დარგული მან სხლას ვაზები¹

ვახტანგ მეფე — ასე შევთანხმდეთ, შაპთან გაგგზავნი,

გაგვევება გივი ამილახვარი
როგორც მცველი და როგორც მეგზური, მისებრ ერთგული არავინ არი
თუ შეძლებ შაპის დაყოლიებას, კახეთს მეფობა, შენი იქნება
თუ არა, ვენდოთ ბედსა და ყისმათს, დაე აღსრულდეს უფალის ნება
მეც იმერეთში მოვრჩები საქმეს, შევძლებ, კახეთსაც მე ვუპატრონებ
დაქცეულ შხარეს შენება უნდა, სხვას ახალს ვერას გამოვიგონებ.

**(იმავე ღროს, სხვა დარბაზში საუბრობენ იმერეთის მეფე ბაგრა-
ტი² უსინათლო და გიორგი ქაიხოსროს ძე გურიელი³)**

1. ერეკლე I (ნახარალი ხანი), თეიმურაზ I ბადიში, დავითის ძე. იზარდა რუსეთში. დაგაუკაცებულმა 1661 წ. (ზოგიც ცნობით 1662წ), ჩავიდა თუშეთში და იქიდან ცდი-
ლობდა კახეთში გამეფებას. თორლას ციხეში გამაგრებული ერეკლე, ალყაში მო-
ქცეული დედამ იხსნა. მან ვახტანგ V სიხვა დაუნდო ერეკლე. ვახტანგმა დედის
თხოვნა შეიწყნარა და ერეკლე ალყიდან უნებელი „გაიპარა“. იგი კვლავ რუსეთში
დაბრუნდა და აქ იყო 1674 წლამდე. იქ გახდა იგი რუსეთის ხნერი მეფისა და
ახალგაზრდა თავადის ასულის ქორწილის მეჯვარე. ამ მდგომარეობით მას უფლე-
ბა პქინდა დელოფლის სანთიბიოში თავისუფალი შესვლისა, უფლების გამოყენების
ნაყოფი პტერე I გახდა.

2. ბაგრატი — იმერეთის მეფე ალექსანდრეს თმარ გურიელისგან პყავდა. ქმარმა
იეპვიანა და ცოლი სიმამრს, მამია გურიელს მოუბრუნა ბაგრატითურთ. მამის სიკვ-
დილის შემდეგ, მემკვიდრედ სცნეს და გაამეფეს.

3. გიორგი — ქაიხოსროს ძე გურიელი მართალია ვახტანგ გურიელისა და თამარ
ათაბაგის ჩამომავალი იყო, მაგრამ მთავრობა გვიან უჩინო.

ბაგრატი და გიორგი არა მხოლოდ წარმომავლობით იყვნენ ნათესავები, არამედ
გარეკვეული სულიერი ერთობაც მოსდევდათ. მომავალში კი მათი ცხოვრების გზები
არაერთხელ გადაკვეთილა ქალის გამო.



ბაგრატ მეფე — კაცის თავს თურმე რაც სახადია,

ზოგის წყევლაა, ზოგის ხატია

ჩემი ცხოვრება დუხჭირით სავსე, ნუთუ უფლისგან დანახატია?

არა მწამს ასე, არ შეიძლება, კაცის ბედს კაცი არ განაგებდეს
ვერა ხედავდეს ტკბილსა და მწარეს,

მომავლის აწყმოს სასწორზე დებდეს

შორს რად წავიდე, ტანჯული სული, ჩემი წარსულის არი მხილველი
ჭკვანმა უნდა გააბას ლარი, თავის სიმართლით გახდეს პირველი

გიორგი ჩემო, ნათესაობის გარდა ჩვენშია აზრთა თანხმობა

ერთად რამდენი გადავიტანეთ, როგორ განმტკიცდა ერთობა, ძმობა
ახლა დათიქრდი, მე უსინათლო, სამეფოს საქმეს თუ გონით ვხედავ
შენ თუ ხარ სულით ჩემი ერთგული სიმრუდით მართალს

რატომ გასჭედავ?

ჩვენში ერთია გამოსავალი, თუ დალატისკენ გიპყრია თვალი

ისეც გავიგებ თვალებდამწვარი, არ დამტკირდება შორით თვალთვალი
მშერის სიცხადე გონებამ ცვალა, ბოროტს სიკეთე არ ანაცვალა

სწორედ გამიგე, კარგად განსაჯე, აწყმომ თუ მტანჯა და გამაწვალა
არ ნიშნავს კვლავაც მომავალს ვცდიდე,

მომავლის შედეგს წინასწარ ვსჯიდე

ერთგულისათვის ვრჩები ერთგული,

ორგულს ერთგულის ხელით დავსჯიდე.

გიორგი გურიელი — შენი მეფობა ღვთისაა ნება

და თუ იცვალა ახლა განგება

არ ნიშნავს უფალს გაუწირისარ, მისი ხარ კრავი არა თავნება
ის, რაც დაგმართეს, იყო ღალატი,

დვთის რწმენას ამით მათ უდალატეს

ვინც ფიცს გადავა, უფლის სახლს ძარცვას,

რატომ დაინდობს კედელს ნახატებს?

როცა გამეფდი, ხატზე შეგფიცეს, ერთგულთა ჰქონდათ სახე-იერი
შენც დაგაჯურეს თუ დაიჯურე, იყავი ერთ ხანს სვებედნიერი
დელინაცვალი დაგიდგა დედად, მმისწული შეგროო ცოლად და ბედათ
რომელი იყო თავს არ გიხრიდა, შენი ურჩობა რომ გაებედათ?

გულებითილობა დიდია განძი, განძის პატრონი უნდა ხარობდეს
მოღალატე და შუღლის მთესავი, გადაჯიშდეს და ვერა გვარობდეს

ასე ვიზარდე, რწმუნაა ჩემში, კაცის სამართლოს ზეცა განაგებს იღოდე, უამი გაატიალებს, დელინაკვალის მრუდელ ანაგებს.

ბაგრატ მეფე — კაცი ბოგინობს ზვალის იმედით,

იმედი მიტომ სულ ბოლოს კვდება
ღვთის სამართალი არის იმედი, ცხოვრების ბედად ეს დამეკვება
განა, როდესაც მამამ მიგანა, დედას უშარა და მოიშორა
ფიქრობ, რომ მართლა იეჭვიანა? ასე აწყობდა, ასე მოჰორა
ბაზალეთიდან¹ მობრუნებული, დამარცხებული, შიშით კლოდა
თემურაზი² შურს იძიებდა, ძალს მოიცემდა, თავს დაესხმოდა
ის თავადები გაუდებოლნენ, ვისაც სამეფოს შარცხი აწყობდა
ვისაც ტყევის სყიდვით³ ჰქონდა ქონება

და მეფის მხრიდან საფრთხესა გრძნობდა
ამიტომ იყო დედა გაუშვა, ოეიმურაზის ქალი თხოვა
გუშინდელ მტერთან ნახა საერთო, შემოირიგა და ჩაექსოვა
თეომურაზმაც მოიგო ამით, ზურაბ ერისთავეს⁴ მოუღო ბოლო
კარგია, როცა გაქვს იმის ძალი, ერთ მტერს მეორე გადააყოლო
მე რაღა მექნა, მე რა შექმებლო, სად თავი მიკრეს, იქით ვიარე
დედის ტკივილებს თუ ვერ ვხვდებოდი, გერის ტკივილი გავიზიარე
დარეჯან, ვინაც ქმარი გაწირა, ქმრის მოკვლით გახდა მამის იმედი
რად გახდებოდა გერის ერთგული, სიკეთის მთესი და შემოქმედი
მუხლობის წესი მამისგან დაჰყავა,

მუხლობის წესით შემრთო მის წული,
მე ქიოგანი⁵ მეცოდებოდა მამიდა ჰყავდა თაგზე გასული,

1. 1626 წ. შემოღვიმაზე, ბაზალეთის ომის დროს იმერთა მეფე ალექსანდრე, გიორგი საკაძის მხარეს იძრიდა.
 2. თეიმურაზ I – კახთა (შეძლებ გაეთიანებული ქართლ-კახეთის) მეფის ცხოვრებას ვრცლად აღწერს ისტორია.
 3. ტყვის სყიდვა – დასავლეთ საქართველოში გავრცელებული სენი იყო. ადამიანთა გაყიდვთ თავადები და სამღვდელოება დიდ ქონებას აგროვებდნენ. (ასე იყო იმ პერიოდში იმერთის სამეფოს სახლთხუცესი სენია ჩხეიძე. ასე, იყო მომავლი გურიის მთავარი გიორგი და სხვ.)
 4. ზურაბ არაგვისერისთვი – განზიდებული, თეიმურაზ მეფებ ქალიშვილ დარეჯანის შემწევით მოაკვლევინა. დაქვრივებული დარეჯანი იმერთა მეფე ალექსანდრეს მიათხოვა.
 5. ქოლებან დავითის ასული, დარეჯანის ძმისწელი, ბაკრატის პირველი (კოლი).



ბოლოს, ბიძას ჩემს, ვახტანგ გურიელს¹,

ჩემ დასაღუპად უთხრა ცოლობა

ასე აღზევდნენ, მუხთლად მიყელეს, თვალი დამივსეს, მიწყეს ტოლობა
ზეცის სამართალს სად გადაუხვალ, დედინაცვალმა მე თუ გამწირა
რას მიაღწია, რა იხეირა, ჩემი პატივი გამოიტირა

ფაშამ ასლამა, ახალციხელმა², მხარი ამიბა, შური იძა

ქვეყანა იპყრო, მტყუან-მართალი ისლამის წესით გამოიძა

დედინაცვალი და მისი კურო, ხელში მოიგდო და დაატყვევა

შემდეგ ოლთისში³ მძევლად გაგზავნა,

როგორიც ჰქონდათ წესი და ჩვევა

მხოლოდ ერთია, რომ ქეთევანი, მათი ერთგული, მათ მიაყოლა

სამთავე ახლა ოლთისს არიან, არც მინდა მათი ამბის მოყოლა

სამართალმა კი გზა გაიკვლია, ასლანის ნებით აღსდგა სიმართლე

მაგრამ მე რა ვქნა, როგორ ვიმეოფო,

გამოცდილი მაქვს თვალის სიანთლე.

გიორგი გურიელი — ბაგრატ, შენ იცი ნათესაობა,

თუ არას ნიშნავს, სხვას მიურგება

ზოგჯერ ერთი გაქვს სიზმრად ნანახი,

თვალს გაახელ, სხვას გადაეგება

მეც ხომ ასეთი ვნახე სიზმარი, ჩემი კეთილი, არავინ არი,

მხოლოდ შენ მეფეს, თუ დამსვამ მთავრად,

შემიძლია რომ აგიბა მხარი.

მე სხვასაც გეტყვი, ჩვენ ვართ კაცები, ზოგჯერ უშები და მამაცები

რატომ გიკვირდეს, შენც ასე იყო, სხვისი მსურველი, და მიმტაცები

1. ვახტანგ გურიელი — დარეჯანის მესამე მეუღლე, შეთქმულების მონაწილე.

2. ასლან ფაშა ახალციხისა — როცა დარეჯანმა და ვახტანგ გურიელმა ბაგრატი დააპრამავს და დალატით გამეფინენ, „სამართალი დაადგინა“, დაესხა ქუთაისს, შეიძყრო მეფე-დელოფალი, მათონ ქეთევან დავითის ასული, და ოლთისს გააგზავნა მეგლებად. იმერეთში კი კვლავ ბაგრატი გამეფა. უსინათლო ბაგრატი სამეფოს ველარ მართავდა. მოსალოდნელი იყო, რომ ვამეყ დადიანი ისარგებლებდა ვითარებით, ბაგრატს ჩამოაგდებდა და გამეფდებოდა. იმერეთის თავადისა ეს არ აწყობდა და ამიტომ ვახტანგ (შაპნავიზ ხანი) ქართლის მეფე მიიწვიეს მეფედ. ასლან ფაშამ ეს საკუთარი უფლებების შევიწროებად მიიჩნია და პრობლემის მოგვარების მაზნით ხონთქართა იჩივლა.

3. ოლთისი — უძველესი ქართული ქალაქთაგანი. ბაგრატიონთა საგვარეულო სამფლობელო. ახლა თურქეთის შემადგენლობაშია.



უფრო პირიქით, მე მოგიყები, ტყუილ-სიცრუით რატომ დაგშვრები როგორი არი თავადთა ნება, როგორი მოდის ჩემაძლე ზმები.

ამით დავიწყებ: შახ ნავაზ ხანი, ვინც შემოგვიჩნდა ეს ბოლო ხანი ვისაც ჰყოლია, მმისწული ქალი, რომლის ვერ ნახო ტოლი და მგვანი ცდილობს დადიანს დაუკავშიროს, ნათესაობას რომ მოუხშიროს სადადიანო შემოიეროთს და იმერეთი ამით გაწიროს

თავად რომ ქალის ნებით გამეფდა, ის დედოფალი დადიანია⁴
დიდი ლევანის ნახევარ და, გურიელისგან დარღავნია.

გამოთხვილი როსტომს მიუგდეს, გაადედოფლეს ქართლელთა ზედა
არავინ იყო ქართველთა შორის მისთვის უარი რომ შეებდა,
ახლა ეს ქალი შახნავაზს მისცეს, ქმრების შოგნაში ბედი ჰქონია
დღეს თუ მაზლის შვილს დადიანს შერთავს,

შენ ეს გაწყობდეს არა მგონია

ბაგრატ მეფე — ბაგრატოვანნი ქებულნი ჯაშით,

რომელი ნახე დასაწუნარი
მუხრან-ბატონებს რომ დააჭარბოს, არავისა აქვს ამის უნარი
თავად შახნავაზს ჰყავს ასულები, ორნივ სიტურფით არი ცნობილი
თვალით და ტანით, აღზრდით და ქცევით,

ტყუპის ცალივით ხმაშეწყობილი
ძმასაც ეზრდება ორი ასული, ერთ-ურთიშე ტურფა, თამარ, თოთია
თუ წარმოიდგენ ზღაპრულად ლამაზს, ორივე ამის მაგალითია
მაგრამ თამარი მაინც სხვა არი, ნახავ დარჩები ელდა ნაცემი
მისა სიტურფე როგორ აღვწერო, არაა სიტყვით გადასაცემი

გიორგი გურიელი — მე რაც გითხარი, თამარს ეხება,

არა მქონია მასთან შეხება
შორიდან ვნახე, აზრი წამერთვა, იყო ღვთის რისხვა და დამეტება
გამიგონია ერთი შეხედვით, კაცი შტერდება, გულით დაღნება,
სიტყვას ვერ იტყვის დამუნჯებული, როგორიც უნდა იყოს თავნება

4. მარიამი — ქართლის სამეფოს დედოფალი 1634 წლიდან, მანუჩარ დადიანს ეყოლა თამარ ათაბაგისაგან. ლევანი კი მანუჩარს ჰყავდა კახეთის მეფე ალექსანდრე II ასულ ნესტან-დარეჯანისაგან. ნესტან-დარეჯანი შორიბარობას გადაჰყვა. პატარა ლევანი კი პაპა ალექსანდრესთვის იზრდებოდა, როცა შეიძინა ნახევარ და მარიამი და მმა იქს. ამის მიუხედავად ლევანი დას ჯეროვან პატივს მიაგებდა. მან მიათხოვა მარიამი როსტომ ქართლის მეფეს.



მსგავსი ადრე არ გამომიცდია, ახლაც სიზმარში მგონია თავი
ღვთის წყალობაა თუ ღვთის რისხვაა, ჩემ დასაღუპად არი ნაზავი
ბაგრატ მეფე — შენგან გაგონილს სჭირდება განსჯა,

ვამეყი ჯერაც დადიანია
მისი ასული სურდათ ქართლელებს, მისთვის იღწოდნენ ერთი ხანია
ვამიყმა არჩილს უთხრა უარი და ამის გამო ერთ-ურთს მტერობენ
ახლა თუ სხვა რამ ჩაუფიქრიათ, სხვაგარ შეერობენ,
სხვაგვარ სერობენ

უნდა ვიცოდე ამის შესახებ, დადიანები ისეც ურჩობენ
ვახტანგმა მხარი თუ დაუჭირა, მე მომდგებიან რას დამითმობენ
და არც გურიას გაუხარია, გურია ისეც არუეულია
ყველა გურიელს უნდა მთავრობა, ერთი-მეორეს დარეულია
ჩემი გიორგი, შენ მთავრობამდე, ბევრი სატეხი წინ გელოდება
გასტეხ-გატეხენ, არავინ იცის, ჩაუთქვამ, ბევრჯერ უკუღმა ხდება
შენგან სხვაობით, მე ხომ ვარ მეფე, თვალებდავსილი, მაინც ბატონი
სხვის სამეფოში, სხვა საქმეს წყვეტდეს, ასეთი წესის არ ვარ გამგონი
და ამას გარდა დაურჩი უცოლოდ, ქეთევანი ხომ ტყვედ წაყვანეს
მოძალადებს¹ ზედ მიაყოლეს, არც შემეკითხნენ, არც დაახანეს
მე თუ ვარ მეფე, თანაც უცოლო, თუ რამე ჰქონდათ გულში ზრახვანი
შეთავზება მე მეკუთვნოდა, რაც ქალს სჭირდება ხომ მომდევს ჯანი
თორე რა ხდება, იმერო სამეფოს, ტახტის მექვიდრე მაინც სჭირდება
თუ არ მეყოლა, მდაბიოს ნაშობს², ვერ იგუებენ, გამიჭირდება
ყველაფერს გარდა, ვახტანგი ჯარით, მაინც სტუმარი არი მოსული
იმერთა საქმე მე მეკითხება სასიკეთოა ან თუ ავსული

გიორგი გურიელი — მეფე ხარ, მიტომ უნდა იცოდე,

რაში იგარებე და რაში სცოდე

ხვალინდელი დღე ისე განსაზღვრო, გონის სიბნელით არ დადიოდე
წამიკითხია და უფრო მეტი განსწავლულ მამებს მოუყოლიათ
პონტოს ეტყვიან ლაზთა ქეყანას, ბრძენებული მეფე³ თურმე ჰყოლიათ

1. მოძალადები — ბაგრატის დედინაცეალი დარეჯან თეიმურაზის ასული და ვახტანგ გურიელი. ასლან ახალციხელმა ისინი დაატყვება და ოლთისს გააგზავნა.
2. მდაბიოს ნაშობი — ბაგრატს იმ პერიოდში სხვა ვაჟი არა ჰყავდა გარდა ალექსანდრესი, რომელიც ნაშობი იყო ლეჩებემელი კიჩილას ცოლის მიერ, ბევრად გვიან კი თამარმა მას კანონიერი მეფისწული გიორგი გაუჩინა.
3. იგულისხმება მითრიდატე პონტოელი.



წესად ჰქონია ზოგჯერ სასახლეს ჩუმად ტოვებდა, ხალხში ვიდოდა ხან გლეხი იყო, ხან მათხოვარი, ვინ რით სუნთქავდა, ყველა იცოდა მეფე ასეთი მეამაყება, მაგრამ ასეთი დღეს ვინდა ნახოს აღწეროს მისი ავი და კარგი, ხალხის გულებში შემინახოს ახლა რას გეტევი, ეს მიხევდრაა შენ ასეთებიც უნდა იცოდე რა დროს თამარზე ოცნებისაა, რამდენიც უნდა ტრფობით იწოდე შახნაგზი გყავს შემოსეული, ყველა ვინც შენ გმტრობს, იმას ემხრობა ვინც შენთან ვახშმობს, მასთან ათენებს,

თუ ვერ შეიძელ მათი მოთოვა, ხვალ ახალ ხრიკებს მოიგონებენ თუ მოახერხეს შენი წაქცევა, მერე ამით თავს მოიწონებენ.

ბაგრატ მეფე — გიორგი, ვიცი რასაც უმიზნებ.

შენ რომ არ გეთქვა ისეც ვხვდებოდი ბევრს სურდა ჩემი ადრე სიკვდილი,

ღმერთის წყალობით არა ვკვდებოდი მე მხოლოდ ერთი გამომეპარა, თუმც არც უჭიკოვ ვარ და არც პატარა დედინაცვალმა როს შემომფიცა, და იმერეთი შემომატარა უნდა მცოდნოდა ეს ერთგულება, დიდი ღალატის დასწევისა ჩემი ეჭვები ძმისწულით ჩაკლა, ქცევა დანდობის შესატყვისა როცა გურიელს დაუკავშირდა, როცა გაეხდო, უთხრა ცოლობა უნდა მეეჭვა ვახტანგ გურიელს რატომ მოუნდა ჩემთან ტოლობა მაგრამ ვერ მივხედი და დაგისაჯე, ყველა რაც მოხდა, ისედაც იცი ახლა ვამიყი ამხედრებულა, თუმც ერთგულება აქვს შენაფიცი ვამიეს სდომია ჩემი სამეფო, ფიქრობს ხელთ მიგდოს დაბრმავებული არჩილსაც მიტომ უთხრა უარი, ბაგრატიონებს მოგვიკლა გული როცა ვამიყი თაგზე გავიდა, გურიისთვისაც იყო მუქარა მაშინ დემეტრე¹ მეწვია ჩუმად, ყველა ამისხნა, ვინ რა მიქარა ის და პატა ჩემთან თანხმობით შან ნავაზს შეხვდნენ ასევ ფარულად ქართლელნი მიტომ დგანან იმერეთს არა ქურდულად და მიპარულად შახნაგზს თავად მოვეთაბირე, ერთად დავსახეთ როგორ ერგება შევძლებთ? მოყვარე გაამაყდება და მოღალატე გადაეგება მე ერთი ვიცი, შაპ ნავაზს ხანი კი არ მატყუებს, მხოლოდ მიფარავს

1. დემეტრე გურიელი პაატა აბაშიძესთან თანხმობით მოქმედებდა ვამიყ დალიანის საწინააღმდეგოდ. ეს მათ მიიწვიეს ვახტანგ ქართლის მეფე იმერეთს.



სამეფო ისეც გავრცობილი აქვს, ჩემი არ უნდა, არ მოიპარავს
მაგრამ ააწყობს ისე ქვეყანას, გლეხს მოუფონოს,

მოსპობიან ტვეთ გამყიდველნი, ასეთი ცოდვა თავზე ვინც იდვა
მე მხოლოდ ერთში დაუძლურები, მმისწული რატოშ სხვას დაუვადა
ვამიყის ქალი რძლად ვერ ითხოვა, წყენა მმისწულით გადაუხადა?

გიორგი გურიელი — მე ის მოვყევი რასაც ამბობენ,

განაგონი კი ვერ დავიჯერე
როგორ იქნება მას დაუმოყვრდე, ვინც პირადია შენი მომტერე
მაგრამ ხომ იცი, ხმა თუ გავარდა, კიდეც იქნება ამის მიზეზი
ჩვენც ვიყოთ ფრთხილად რომ არ გვიყელონ,

არ შეგვიცვალონ სავალი გეზი
თუ ყოველივე არი ტყუილი, თამარი მაინც ხომ თვალით ვნახე
სიზმარში ხომ არ მომლანდებია, ხატება გულში შემოვინახე
მთავარი ვიყო, სიტყვა მეთქმოდეს, საქმესაც წვრილად მოვიძიებდი
თუ საოცნებო ასეა ახლოს, ნახვას ხვალისთვის რად გადავდებდი

ბაგრატ მეფე — შენ ჯერ გურიას მიჰქედო გიჯობს,

გზას დააყენო გურიელები
ერთი-მეორეს არ ენობიან ახალგაზრდები და არც შველები
ვახტანგის შემდეგ დემეტრე მძლავრობს,

არავის ინდობს მეფობს და მთავრობს
ვახტანგიც ოლთისს გადახვეწილი, მუქარას გითვლით,
გლანძლავთ და ჯავრობს
შენ თუ ორიგეს ჩამოიშორებ და თან ერთგული ჩემი იქნები
საერთო ძალით იქნებ ჩავშალოთ ოდიშარების ჩანაფიქრები.
უნდა ეცადო სანამ დრო ითმენს და მეფე ვამიყს შეურიგდება
თამარიც ვამიყს ჩამოვაცილოთ, არ დავითმინოთ ქალის მიგდება

გიორგი გურიელი — თამარს რომ ვინმე გამირიგებდეს,

მიპატრონებდეს და გამიგებდეს
ჩემებრ ერთგული ვინ ეყოლება, ჩემებრ მებრძოლი,
ვის ვინდა მტრობდეს
ვაგლახ, ეს მხოლოდ არი ოცნება, უნდა ვუყურო სად რა მოხდება



მწიფეს ესვრიან და მკვახე ცვივა, საპყარის ნაცვლად,
ჯანსაღი კვდება
მეფევ, შენ დიდი მომეც საფიქრი, ოზურგეთისკენ უნდა ვიარო
გურიელი ვარ, გურიელების ავი და კარგი გავიზიარო
თუ ამ ბრძოლაში დავრჩი მედეგი, იქნებ ზუგდიდი იყოს შემდეგი
ქალის გულისთვის თუ კსდიე მის გზას, ეგებ ვიხილო ბოლოს შედეგი.

ბაგრატ მეფე — შენთვის მე ის გზა დამილოცა, რომელსაც ვგრძობ
და თვალით ვერ ვხედავ
შენი იქნება იმის ნაყოფი, რასაც მიწვდები, რასაც შებედავ
ფუჭი ლაყბობა საქმე არაა და არც ჩივილით გამოვა რამე
ოზურგეთს უნდა ჭედდე მომავალს, არ ისვენებდე, არც დღე, არც ღამე
თან ფრთხილად იყო, ვახტანგის შემდეგ, დემეტრესია გურიელობა
ჩასაფრება და ჩუმად თვალთვალი, სიფრთხილე არი მისი ხელობა
უნდა ეცადო არა შეგნიშნოს, შარი არ მოვდოს რამე მიზეზით
კეთილგანწყობა არ მოგიშალოს, არ განაწყენდეს სავალი გეზით
იცი, შახნავაზს ახლა ერთგულობს, მისით გახდება ხვალე ძლიერი
იქნებ თამარსაც დაადგას თვალი, და ნათესავი გაგიხდეს მტერი
ყველაფერს უნდა აწონ-დაწონა, შენ ანგარიში არ შეგეშლება
ჩემი იმედი თან დაგვევებოდეს, გაჭირვებაში შეგეშველება.

გირგი გურიელი — რაც ითქვა, ჩემთვის გასაგებია,

ჩემ გზაზე ჩემი ბედით ვიარო,
შენ არ დაგინდეს, მე ვინ დამინდობს, დალატის ელდა გავიზიარო
ნათქვამი არის, რომ ობლის კვერი, თონეს ჩაკრული გვიანა ცხვება
ოზურგეთიდან მომდევს ხიფათი, ოზურგეთს მისულს რად შემეშვება
მაგრამ თუ ჭკუა გამოვიჩინე, მტერის სანაცვლოდ მოძმე ვიჩინე
მთავარი გავხდი, თამარსაც შევწვდი,

ნიშნავს სიცოცხლე გადავირჩინე.

ეშმა — კაცთა ქაჯობას ხელეწიფება, ბოროტს სიკეთე გადააყოლოს
იბრძვის, აგროვებს და ვერა ხვდება, რომ სინანული მოელის ბოლოს
რა არი არსი მისი ცხოვრების, საიდან მოდის, საითქნ მიდის
სისულელეზე გადაგებული, მიწას მიიღებს აკვნად სიმშვიდის



ქაჯი — კაცის ბუნება ცალმხრივად გესმის, დანიშნულებაც ვერ გაგიგია კაცი თუ დასდევს სისულელეებს, ქალის ცხოვრება რაღა რიგია? უფალმა რატომ ჯერ შექმნა კაცი, მისი შშვენება როცა იხილა მერე შეუქმნა მეუღლედ ქალი, სიბრძნე არ მისცა, არ განიხილა რაღან იცოდა ჭეუა კაცისა, ორივეს ერთად კიდეც ეყოფა მიტომ წესია კაცის ზეყოფნა, ქალს კიდეც სურდეს ვერ გაეყოფა აბა შეხედე, ცხოვრების წესი, როგორი სიბრძნით მოწყობილია მამრი მდედრის მუდმი ზე ეფარება, ერთი მეორეს მინდობილია

ქშმა — რა სულელი ხარ. ქალი ნებივრობს,

კაცს დღე და დამე მიწყივ აშრომებს და თუ იმედი არ გაუმართლა, შესაბამისად მიიღებს ზომებს კაცი ბრივია, ასე ჰგონია, ქალი სუსტია და ეცოდება ქშმაკი მიტომ არი ეშმაკი, სხვის სისულელეს დაელოდება შენ გადი სოფლად, გადაითვალე, ქვრივი მეტია კაცი თუ ქალი საფლავზე ნახე, ვინ როდის მიდის, რომელ ასაკში დაეგსო თვალი იანგარიშე, ბოლოს მიხვდები, ქალის სისუსტე მოჩვენებაა ბერი კაცისა ქალს აპარია, როგორ გადაწყვეტს, მისი ნებაა

ქაჯი — ეშმაკობ, გინდა მაცუცურაკო, ონი მიქნა რამ საარაკო ქალები კაცებს გაუთანაბრო, ასე აღზევდე და გაატრაკო არ გამოგიგა, ქალი ქალია, კაცთან როგორი დასადარია გინდა ღონით და გინდა გონებით, ქალი გვალვაა, კაცი დარია შენ დაუკვირდა ქვექნად რა ხდება, კაცი მიიბრძვის, ბრძოლაში კვდება ქალი ბალდებს ზრდის, აღზრდაში ცვდება,

კაცი თუ არ ყავს ლოგინში ცდება

ქშმა — კაცი ქაჯია თავის ბუნებით, თავდავიწყებით ქალს მიენდობა ქალი ჭკვიანი არი ეშმაკი, მიტომ არ იცის ცოდვის შენდობა თუ დასჭირდება — ვერ დაინახავს, თუ საჭიროა ვერც გაიგონებს კაცმა რა იცის ქალის ილეთი, როდის, როგორ, რას გამოიგონებს შორს რად წავიდეთ, შაჳ ნავაზ ხანი, ხომ ჯარით არი აქეთ მოსული ამერს და იმერს ერთად ბატონობს და სიამაყით არი მოცული ბაგრატი მძევლად ჰყავს აყვანილი, და თავადები ვერას ბედავენ ხანის ნათქვამებს იმეორებენ, როგორც წისქვილში ჭორებსა ფქვავენ რაჭა-ლეჩხუმი ზურგს უმაგრებენ, ვამიყი სვანეთს გაქცეულია დიდი ლეგანის მძლავრი სამთავრო, ნირწამხდარია, წაქცეულია

და მაინც შიშობს, სიფრთხილეს იჩენს,
ძალზე ჭრელია კაცთა გრებული
რაღვან არ იცის ხვალ რას იფიქრებს,
დღეს გუშინდელზე გაბრაზებული
ხედავ? ამიტომ იმედის ფარად, ტურფა ძმისწული მოუყვანია
სხვა ვინ დაახშობს კაცთა სიშლეგეს, შლეგი ყრუ-მუნჯის
და ბრძის მგვანია

ქავი — შენი ნათქვამით ისე გამოდის, მზე რომ დაგვტოვებს, მთვარე ამოდის ყოველი მხოლოდ იმიტომ ხდება, კაცის სურვილზე ქალი არ მოდის კაცი ძაბუნი, ქალს ეფარება, ქალის იმედით ქვეყნად ტრიალებს რაც უნდა სცადოს ქალის გარეშე, ბორეა ქარი გაატიალებს მაშ მოდი, კიდევ ყაბულს იყავი და შევაწუხოთ ქამთა მროველი გადაგვიწყვიტოს კაცი თუ ქალი, როგორ სიკეთის არი მთოველი ქშმა — ეამთა მროველი თაგად კაცია, ნიშნავს ქაჯია თავის ბუნებით ძალლი ძაღლის ტყავს მაინც არ დახევს, დაჩაგრავს ზურგზე ამობრუნებით ისეთს რას იტყვის მე არ ვიცოდე და მაინც ვკითხოთ, შენია ნება ჩემთან ჭიდილში რქები ამოგდის, რქებ დამტვრეული რჩები თავნება ქამთა მროველი — სიცოცხლის შობა საოცრებაა,

ახალი მოდის ხიბლი და ძალა
არავინ იცის რით შეგვეწევა, ღმერთმა სიბერე თუ დააცალა
ბევრი რამაა თავშეკონილი: მეტკვიდრეობით გადაცემული,
აღზრდა, აღმზრდელის გონიერება, ჭყვიანური თუ ზნედაცემული,
შიმშილ-სიცივე და გაჭირვება, თუ ფუფუნება თავზე საყრელი
ყოველი სიტყვა, ყველა ნაბიჯი, რამ საძულველი თუ საყვარელი.
ასე იზრდება ადამიანი, ასე იწრობა ჯანით და გონით
ასე ფასდება ქალი თუ კაცი, არსებულით თუ გამონაგონით
და თუ არ იცი შეერთებულად, ყველა რაც იყო, რაშიც ტრიალებს
მცდარია, ისე აქო-აძაგო. რაც განადიდებს ან ატიალებს
ყველა ქალი, რომ ეშმას ბაძავდეს, ან და ყოველი კაცი ქაჯობდეს
მაშინ რით გინდა რომ განასხვავო, ვისი რა ღირდეს,
ვისი რით ჯობდეს



და ამას გარდა, უნდა იცოდე, თუ ეშმაკობენ, რაა მიზანი სანამ ქაჯობას კაცისას იტყვი, რატომ ქაჯობდა, ამოიცანი აქ ოომ ახსენეთ შახ ნაგაზ ხანი, ვახტანგი, მეფე სრულად ქართლისა ქართველთა საქმეს გადაგებული,

აღმსრულებელი მისთვის მართლისა

როცა გაშორდა შვილების დედას და დედოფალი შეირთო ცოლად არა იმიტომ, ქალთ მდევარია, ან არ მიაჩნდა როდამი ტოლად მიზანი მისა საშობლო იყო, მისი სიკეთე, მისი დიდება და არა ტახტზე წამოსკუპება, ღრონის ტარება და მოკიდება როცა ვამიყის ასული სურდა, ძე არჩილისთვის დაესვა ცოლად მიზანი იგივ საშობლო იყო, არა ზეიძი გულგასაყოლად დღეს ქუთაისში საქმეს აგვარებს, ხვალ, საქმე ითხოვს,

ელის ზუგდიდი

ყოველი კუთხე რაც მეტად სტკივა, ქართველებისთვის უფროა დიდი კაცზე ქილიკი სულმოკლემ იცის, რაც ნაკლებ იცნობს, უფრო მეტადა მცოდნე უვიცად გადაექცევა, მოწევენება ბრძნი ცეტადა თქვენი კამათიც არი ცალმხრივი: ქაჯია კაცი და ეშმა ქალი ასე მარტივად ოომ იყოფოდეს, დაგჭირდებოდათ მათი თვალთვალი?

ეშმა — ხომ ვთქვი, არ იცის ქალის ბუნება, კაცს არ გაამხელს,

კიდევ იცოდეს

ქაჯი ხარ, მიტომ ხარ კმაყოფილი, რაც ახლა ხონჩით გამოგიწოდეს ჩემი არ გჯერა. არც გწამს რაც ხდება, მიხვდი,

ვიყავი მუდამ მართალი

თუ გსურს გაიგო ქვეყნის რაობა, მიზეზად მიწყივ იგულევე ქალი

(რამდენიმე დღის შემდეგ, ზუგდიდი, დადიანების სამყოფელო, მეფე ვახტანგი (შაჳ ნაგაზ ხანი), შამადავლე, ¹ ჭყონდიდელი,² ხოსია ლაშხისშვილი (ლეჩუმის გამგებელი)

1. შამადავლე – სამეგრელოს (ოდიშის) დადიანი (მთავარი) ლევან III. „არამედ დადიანობა არა არს გუარი, გარნა წესი ხელობისა“, ქართლის ცხოვრება, ტ.IV, თბ.1973, გვ.82

2. ჭყონდიდელი – სასულიერო თანამდებობა. XVIII. სამეგრელოს სულიერი წინამდღვარი.



շախտանց մեջյ — լուս գաճմռավելո,

յոլելու մովա և այսանցուն թէպա զօնիլոյ
րունու և այս մասնաւուն մէարյէ, առ դամայքը, առ գանչունուն
յարուս-յարունու եռու ոյզներ մէջու և հայե յայլան մմատա մզունուն
կայսերունու յէյու և այս հայուն մայլուն, մէար գամլունուն
զօն համեյունու և այս մայլու զար այս տ, առ ու յէյու մուսաւուն մզունուն
սեզա առ հայեն գայլուն բագունու, գաճագայուն մուտզուն տաշեն
անձունա ունունու յայլու և այսանցուն անձունա
յէյու անձա և նոյունու, յայլա սամմունուն գանապուն
լունու դաշլանե, րուն լունուն յայլուն,

յամուն մտաւ զանդու գայլուն յոյժրուն
տոյ մմադ մեյնայուն և գոմասկոնմունուն, յերանու,

յուկու և այս մայլուն յոյժրուն
յայլուն նայունու տոյ յէ դաշլուն, մոմունուն սատշեյնուն բունու
յայլայրուն յայլուն յայլուն մանմուն
մաժ մուշրիւն յէյուն և յայլուն մայլուն, սայմե դաշսանու,

— յմջունեսա

զոյուն բալ-բալուն և մասն յրտան, մամա-ապայրուն րոգորուն բուսա

եռուսա — մեյուն նայեամուն յայլուն մունուն,

րոգորուն յանցունուն հայեն յայլունուն
և տոյ յայլուն յայլուն յայլուն մայլուն և յայլուն յայլուն
նոմնայս մամենուն յոյմուն յայլուն յայլունուն,

յամունուն յայլուն յայլուն յայլուն յայլուն

յնդա դաշլուն ասետու յուտա, սոյետու յայլուն և յայլուն յայլուն

սիրուն ամունուն լոյինս յայլուն յայլուն, հայեն տան սանցուն և այս յայլուն

յայլուն յայլուն յայլուն յայլուն յայլուն, մամենուն յայլուն յայլուն

յայլուն յայլուն յայլուն յայլուն յայլուն

ամաս և ամաս յամեն, ունուն յայլուն յայլուն յայլուն յայլուն

յայլուն յայլուն յայլուն յայլուն յայլուն յայլուն յայլուն

յանցուն յայլուն յայլուն յայլուն յայլուն յայլուն յայլուն

յայլուն յայլուն յայլուն յայլուն յայլուն յայլուն յայլուն յայլուն



ჩვენ ვინ გვასწავლოს რაა მამული, არ დაივიწყოთ, ვართ მეგრელები კოლხი-ლაზები, თვალ-ლამაზები,

გამოწვდილი გვაქვს თქვენსკენ ხელები
თქვენ კი, თუ გინდათ სიკეთე ჩვენი,

სიტყვა რად გვინდა თუნდ გულში მწვდენი
რად მოხველთ ჯარით, სდევნით დადიანს,

გსურთ დაუმოკლოთ სიცოცხლის დღენი
გამიყო სვანეთს თავს რად აფარებს, რად არ გმასპინძლობოთ,

არ გიღებთ კარებს
ცოლ-შვილი მისი, გადამალული, ვის რას დააკლებს, ვის გამწარებს
გამიყის ვიყავ; გრძები ერთოგული, და თუ არა ხართ სამტროდ მოსული
დაიცხრეთ რისხვა, შერიგდით გამიყს, ადიდეთ ღმერთი,

ალადეთ სული.

ხოსა — მეფეს ვუამბე, თქვენ ჯერ არ იცით, უნდა სამძიმო საქმე გაუწყოთ
ის, რაც სვანებმა შემატყობინეს, მერე განსაჯეთ, ამას რა ვუყოთ
გამიყი მთაში იყო ასული, არა იმიტომ ვინმე სდევნიდა
ჯარს ქირაობდა ჩვენთან საბრძოლოდ,

სვანთა მიმჩრობას ოქროთი ცდიდა
შემდეგ მარუხის¹ გზას დასდგომია, სურდა აფსარებს² იქით სწვეოდა
იმათი ჯარით თავს დაგვცემოდა, ეძარცვა,

როგორც აფსართ ჩვეოდათ.
ჯერაც არ ვიცი, ვამიყს სვანებთან თუ აფსარებთან მოსვლია ჩხუბი
ხმალს მინდობია, მაგრამ ვიღაცას ზურგში დაუკრავს ნალეგსი შუბი
მოკლული იქვე დაუკრძალიათ, გადმოსვენება ჩვენი ვალია
ვაჟებაცი იყო შემმართებული, მიტომ ხმლით ხელში სული დალია

ჭყონდიდელი-ჩიქოვანი — რაღაც ამდაგვარს გუმანით ვგრძნობდი,

ჭაქვითის³ ციხე რაკი გატეხეს
ციხის მცველები არვინ დაინდო, სისხლით მოძმენი ძმურად აჩეხეს

1. მარუხის ულელტეხილი — ჩრდილო კავკასიასთან დამაკავშირებელი გზა.
2. ადიღეური წარმომავლობის აბაზას ტომი ჩრდილო კავკასიაში ბინადრობდა. რუსები მათ აბაზინებს უწოდებდნენ. ქართველები აფსარებს. აფსარების ქირავნობა შარგაშიძეებმა დაიწყეს ლევან II დადიანის წინააღმდეგ საბრძოლველად.
3. ჭაქვითის ციხე — ვამიყ დადიანს ოჯახისა იქ ჰყავდა გადამალული. იქევ ჰქონდა სადადიანო განძი. ვახტანგ მეფის ზუგდიდში ჩასვლის შემდეგ ოჯახობა განძით მეფეს ჩაბარდა.



ვამიყის ცოლი გამოიყვანეს, ცრემლი აღინეს და დამცირეს დადიანების განძი გაიყვეს, როდი დასჯერდნენ საჩუქარს მცირეს მისი ასული, დაქვრივებული¹, სამათხოვრო გზას შემოუყენეს კოკას ვერ შესწოდნენ გულ ამღვრეულნი,

უღონო ძალა ლიტრას უჩვენეს²
დღეს დედა-შვილი, დედათ მონასტერს, მიუსაფარნი ეფარებიან
კაცთაგან უღვთოდ განწირულები, ღმერთს შეწყალებას ევედრებიან
ხოსია — ჭყონდიდელს თუ სურს დადიანების ყველა ცოდვანი

გადმომაბრალოს
არ შეისმინოს როგორ რა მოხდა, თავის მართლებაც არ დამაცალოს
კურთხეულ მეფეს ეჭვით შეხედოს, იმერ-ამერი აეჭვიანოს
შარვაშიძეებს ნიში მოუგოს, გურიელებიც დააზიანოს

არ გამოუვა ასე მცდელობა, ერთობის ნაცვლად რომ შური თესოს
სხვისი სიძართლის დამახინჯებით, თავისი მცდარი რომ დააწესოს
ვიყოთ მართლები, სადადიანოს მოვსულვართ ძმები და არა მტრები
გვინდა სამშობლოს ერთიანობა, ტყუილი ჯაფით რატომ დავშვრები
შენ დაუკვირდი, დღეს ვახტანგ მეფეს აღმოსავალეთი ემორჩილება
იმერეთს უკვე მხარი აუბავს, არ დაუწყია დიდი ცილება

გურიაში ხომ დემეტრე მთავრობს, სწორედ დემეტრემ იწვაა მეფე
შენ ორგულობა დასწამე მიდი და ერთგულების გახდი შემყენე
ახლა აქეთ ვთქვათ, ლეჩხუმელების თავი ვარ, ვიცი საით ვაირო
ვის ვუერთგულო, ვის შუბი დავცე, ვისი ფიქრები გავიზიარო
ლეჩხუმი სვანეთს გამობმულია, რისთვის იბრძვიან, ვიცით, სვანები
ორივეს რაჭა გვიდგება მხარში, დევების კერის დასამგვანები
თუ სამეგრელოც გონს მოეგება, ერთობით შვება ვიგრძნოთ ეგება
ცალკ-ცალკე ყველას გაგვიჭირდება, შეერთებულებს გველის მოგება
დღეს აფხაზეთი თქვენ შემოგყურებთ

და თუ მათ ნდობას დაიმსახურებთ
კვლავ ხელს გავუწიდეთ ნიკოფისამდე,
ფუჭად არ ვიტყვით და ვიხმაურებთ.

1. ვამიყ დადიანის ასულს ქმარი ბექან ლოლობერიძე მეფის მომხრე თავადებმა მოუკლეს. ამთ მეფის დამცირებისთვის შური იძიეს.

2. ცნობილი გამოთქმა – ძლიერს ვერაფერი დააკლეს და შური სუსტზე იძიეს.



ჭყონდიდელი-ჩიქოვანი — თუ დადიანი ვამიყი არ გვყავს,

სხვას ვის ექუთვნის დადიანობა
საღირისძენი¹ ვინდა გადარჩა, ვის ორგორი აქვს იმათი ცწობა
ლევანის ძენი აფხაზისაგან,² ლახნში არიან და აფხაზობენ
მეგრელებს აქეთ გვემუქრებიან, ნათესაობას ჩვენსას ვერ გრძნობენ
თუ შამაღლეს მთავრობას ფიქრობთ, უგებ სხვასა აქვს მეტი უფლება
დადიანობა დიდი ძალა, და ბევრს სურვილი დაუუფლება
კაცას, ჩემ ძმას დავეკითხები, სალიპარტიოს ვინაც განაგებს
ჩვენ შევჯერდებით და მოგახსენებთ

მეგრელ თავადთა აზრით ანაგებს

გახტანგ მეფე — ჭყონდიდელობის ფასი რომ ვიცი,

მიტომ ვისმინე და არ ვიწყინე
მაგრამ ყველაფერს აქვთ თავის ზომა და თავხედობა ვერ დავითმინე
ჩვენ აქ შევყრილვართ არა იმისთვის, საქმე გაგვიხდა სამარჩიელო
არც ჭყონდიდელს აქვს იმის უფლება,

აქ მყოფებს გვითხრას: ვინ ხარ ტიელო
ვამიყი მოკლეს, ეს არა ნიშნავს სადადადიანო დაობლებულა
საღირის ძენი საძებნელი გვყავს, კაცთა ცხოვრება დამთავრებულა
ჭყონდიდელობა სანაქებოა, სამშობლოსათვის როცა ზრუნავენ
დასანანია, მამულის ნაცვლად, პირადულისთვის თუ კი ბრუნავენ
რად გაგახსენოთ, ლევან დადიანს იესე ჰყავდა ძმა საქებარი
ძმას გვერდით ედგა, მამულს უვლიდა,

მტერს მიჰყოოდა როგორც მდევარი
დღეს, როცა ლევან, მასთან იესე, აღარ მთავრობენ, აღარ არიან
არ ნიშნავს, იმათ ჩამომავალობან, ქვეყნად არავის გაუხსარიან
შამაღლე ხომ იესეს ძეა, ის კი ძე იყო მანუჩარისა
და ამას გარდა ვაჟეკაცი არი, შემძლებელია, თქვენც იცით რისა

1. საღირისძენი — ამ გვარის დინასტიური მოღვაწეობა დადიანის თანამდებობაზე გამოევლეული აქვს ილია ანთელავას. აქ მხოლოდ ის აღინიშნება, რომ ამ გვარს დიდი სამსახური გაუწევა სამშობლოსათვის. საქმარისია ცოტნე დადიანის გახსენება.
2. ლევან II დადიანს ცოლად სეტემბრი შარვაშიძის ასული ჰყავდა. მასთან ორი ვაჟი ეყოლა. იმ პერიოდში ლევანი ჯერ კიდევ ერთიანი სამეგრელო-აფხაზეთის მთავრად იყო მიჩნეული. მას შემდგ, რაც ცოლი შეიღებით შშობლებს (შარვაშიძეებს) დაუბრუნა, დაიწყო დაუმთავრებელი ქიშპი, რამაც საბოლოოდ აფხაზეთის ჩამოშორება განაპირობა.



დადიანობა, მემკვიდრეობით, მამიდან შვილზე თუკი გადადის შამაღლება მაშინ მემკვიდრე და უკეთესი არავინ დადის სხვაფრივ მეც კი მაქვს იმის უფლება დადიანობა რომ შევითავსო ჩემი მეუღლე ლევანის დაა, აქ იყო მისი კერა-სათავსო მაგრამ პირველი შამაღლება. ძეა წინ მდგომი, არა ასული მამა-პაპათა წესს ვინ დაარღვევს, ვინ არის ასე თავზე გასული ან და, რად გინდათ ჩემბან სწავლება სხვაზე უკეთეს ყოველმა იცით არც დაირღვევა ჩვენგან ეს წესი, შეკრულები ვართ ღვთიური ფიცით ასე, რომ სანამ კაციას ეტყვი, გულს აღიბეჭდე აზრი უზადო შამაღლება ახლა მთავარი და გიჯობს ტახტი რომ გაუმშადო.

შამაღლე — ბედი-იღბალი ზეცას წერია და ანგელოზი უდგას დარაჯად კაცის ცხოვრება სახლაურია, ნაჩუქ სიცოცხლის არი ხარაჯა ჩვენ ვიძადებით უფალის ნებით, სავალი გზებიც მისგან ხატია სალოცავია ირგვლივ ყოველი, მთები, ველები ჩემი ხატია მე ხომ სიცოცხლე არ მითხვია, მოხდა რაც უფლის იყო სურვილი შარდეს, ვიზარდე, რამდენიც შევძელ,

იმით მოგიკალ ცოდნის წყურვილი რა გავხდებოდი განა ვიცოდი, დღესაც არ ვიცი, რა მელის ხვალე არავინ იცის რა მიხაროდა, რა არ მინდოდა და რაში ვცვალე უფლის ნება ირგვლივ ყოველი, ყოველ სიახლეს მისგან მოველი კაცი ბედ-იღბლის აღმსრულებელი, ობობასავით არი მქსოველი რატომ მოვყევი ათასჯერ ნაფიქრს, ცხადს დამალული რატომ გავანდე არა იმიტომ რომ დამატასოთ, უფრო ჭკვიანად თქვენ თვალში ვჩანდე მინდა იცოდეთ, დადიანებშიც, ბევრი ყოფილა თავქარიანი მტრებს თუ ვერაფერს მოერეოდნენ,

მეგრელებს პქონდათ მათგან ზიანი არ მინდა ვიყო იმათი მგვანი, ჩემ ერში მინდა შშვიდი ცხოვრება რაც დღემდე ვიყავ, მომავალშიაც ვიქნები იმის განმეორება დადიანობა თუ დამევალა, მეფემ დამადო კისერზე ვალი ვიქნები მიწყივ მისი ერთგული, არ დასჭირდება შორით თვალთვალი გახტანგ მეფე — საქართველოა მგლების ხროვაში,

ირგვლივ მტრები გვყავს შემოსული ვიბრძით და ბევრჯერ გაგვიმარჯვია, ბევრჯერ გყოფილვართ მათგან ძლეული



მგლებს რომ ვებრძოდით,

იმ ხროვას უკან მრავლად მოსდევდნენ მელა-ტურები
დაჭრილს, სისხლ დაცლილს გვისახდებოდნენ,

როგორც ხიზნები და მეგზურები
დღეს უარესი დროება დგება, მტერი-მოყვარე არეულია
ვერ გავრკვეულვართ ვინ როგორ გვებრძვის, სად აშკარაა,

სად ფარულია

და თუ გაგრძელდა საკმაი ხანი, გადაიღალა მებრძოლი ჯანი
ერს არ გაუჩნდა ერთობის გრძნობა, თუ წინამძღოლი დარჩა უგვანი
მგელი იმძლავრებს, თუ რამ დარჩება დაეუფლება მელა და ტურა
დრო კიდევ ითმენს, მხარი მხარს მივცეთ,

გამომიწვდია ხელი დასტურად

ზუგდიდს ჩამოველ როგორც მოყვარე,

ერთიანობის ძეველის მსურველი

დადიანობა დიდი განძია, მინდა გიზილოთ სამშობლოს მცველი

შამადავლეა მეგრელთა თავი, სადადიანოდ გადარჩენილი

უნდა ითაოს დადიანობა და ერთობაში დაიდოს წვლილი

როგორიც იყო სულმნათი ცოტნე,

როგორც მძლავრობდა ბოლოს ლევანი

მთავარი უნდა ერს მიუძღვდეს, არა რჩქბოდეს უკან უგვანი

ახალგაზრდაა, წინ აქვს ცხოვრება და ასპარეზი ფართედ გაშლილი

მე მხარს აკუბამ, დავემოყვრები, გახდება ჩემი სიძე და შვილი

ჩემი ძმის წული, ნორჩი თამარი, ამიტომ ზუგდიდს ჩამოვიყვანე

მისი მთხოვნელი ბევრი გაცუდდა, გამინაწენდა, არ გავატანე

ქორწილს გადვიხდით აქეე ზუგდიდში,

რძალი გახდება და დედოფალი

ნათესაობა დაგვაკავშირებს, შეგვემატება სიმბნე და ძალი.

შამადავლე — რას ვიფიქრებდი თუ უქედობა, ბედინერებით შემცვლებოდა
ვამიყო მუდამ ცერად მიცქერდა, მე ჩემი ყოფა მეცოდებოდა
იცვალნენ დრონი, რაც არ მეგონა, იმ საოცნებოს გაეხდი გამგონი
რა ვარ, რა ვხდები, რისი წყალობით, დასაფასებლად მეყოფა გონი
მეფევ, ისედაც თაყვანსა გცემდი, მამიდის ქმარი ნათესავია
ახლა ცხოვრებაც გამომიცვალე, სულ სხვანაირი სანახავია
ქუთაისს ვიყავ, როცა მიამბეს, მმისწული თან გყავს ულამაზესი



ვინც ნახა, კვლავაც ნახვა მოუნდა ღამით მთვარესი და დღისით შესი მისი ხილვისას, თვით უსინათლო ბაგრატ მეფესაც განათებია ხილვას ვინ ჩივის, სახელის გამო, ზოგჯერ უძილოს ღამთენებია თავს ვერ ვუმხელდი, ვის გავუმხელდი,

გულში როგორი ცეცხლი ბრიალებს
რასაც მპირდები – უცეცხლოდ ჩამწვავ, არა და დარდი გამატალებს
თუ თამარს შემრთავ, ისეც ერთგული, შენ სამსახურში დავისარჯები
შენი ბრძნების შემსრულებელი, საით წამიყვან იქ გავირჯები
დადიანობა თუ მომეკუთვნა დიდი ლევანის მცირე მმისწულსა
მისი სახელით მოვინათლები, გამოგაციცხლებ ამით წარსულსა.

ჭყონდიდელი-ჩიქოვანი — ვატყობ აქ დიდი ამბები ხდება,

ერთის საბელოდ მეორე კვდება
ბევრის ცხოვრება ასე იცვლება, და კიდევ ბევრჯერ განმეორდება
ვამიყი მოკლეს, ჩემი ბატონი, ქალის გულისოვს კაცი გაწირეს
მისი ცოლ-შვილიც კი არ დაინდეს, ლაფში მოსვარეს და დაამცირეს
ხეს რომ მოჭრიან ნაფოტი სცვივა, მეც მომეკუთვნა ნაფოტის ბედი
ვერძნობ ზუგდიდში არ დამედომება, უნდა ვიცვალო გადასახედი
წავალ, მონასტერს დავეყუდები, არ მომჭარბდება უფლის დიდება
ვახტანგის რისხვას თუ გადავურჩი, გულზე ჯავრი არ მომეკიდება.¹

**(ვახტანგ მეფეს (შავ ნავაზ ხანს) ზუგდიდში აფხაზეთის მთავრი
შარვაშიძე ეახლა და მორჩილება გამოუცხადა². ამით დასავლეთ საქა-**

1. ჭყონდიდელი — ჩიქოვანი ვახტანგ მეფემ შერისხა და შულავერის ციხეში გამოკეტა. წლების შემდეგ მან გაპარვა მოახერხა, დაიბრუნა ჭყონდიდელობა და ბოლოს მის კაცია ჩიქოვანის გადადიანებასაც შეუწყო ხელი.

2. აფხაზეთის მძლავრი სამთავრო VIII ს. ჩამოყალიბდა ლეონ I პატრიკიოსის მეთაურობით. ლეონ II დროს აფხაზეთი სამეფო ხდება და აქტიურად მონაწილეობს ქართულ სამეფო — სამთავროებთან ბრძოლაში, Xს. მეფე გიორგი II დროს აფხაზეთის სამეფო აღმოსავლეთ საქართველოს დიდ ნაწილსაც იერთებს. აფხაზეთის მეფე ბაგრატ III უკვე ვაერთიანებული საქართველოს (აფხაზეთის) მეფე ხდება: ამის შემდეგ აფხაზეთი საქართველოს სამეფოს განუყოფელია. და პირიქით, საქართველო აფხაზეთის სამეფოს განუყოფელია. XV-XVI სს. საქართველო სამეფოებად და სამთავროებად იყოფა. აფხაზეთის სამთავრო XVII ს. შუა ხანებამდე სამეგრელოს სამთავროსთან ერთობას ინარჩუნებდა. ლევან II დადიანი (გარდაიცვალა 1657 წ.) ერთიან სამეგრელო-აფხაზეთის გნაგებდა. სწორედ მასთან, ნათესაური შედლის გამო იწება აფხაზეთის სამთავროს განდგომა, აფხაზეთის (ადიდეველების) შეიარაღებული რაზების დაქირავება და ბრძოლა სამეგრელოს დასაუფლებლად. ამ ბრძოლის დროს ლევანი II



რთველო (აჭარის გამოკლებით) ქვლავ ერთიანი სამეფოს შემაღენ-ლობაში მოექცა, დროებით)

ვახტანგ მეფე — მოხარული ვარ აფხაზთა ხლებით,

რაც მუდამ იყო, ერთად ვიქწებით
სამშობლო უნდა ვაერთიანოთ ურჩებთან ძალით, მოძმესთან ნებით
მძიმე დრო დადგა, მთის ჩამოწოლა, ვეცადეთ, მაინც ვერ ავიცილეთ
ლეპნი და ოქსნი შემოსული, მთების იქით ვერ გადავიცილეთ
კახეთის მხარეს ლეპი მოიწევს ბევრჯერ მალულად, ზოგჯერ ხიზნადა
ჰერეთის კუთხის დაპატრონება, გადუქცევიათ თავის მიზნადა
აქეთ ოქსებმა დვალეთს უყელეს, ზახას უწიეს, უნდათ ზეკარა
ოსური ისმის უკეთ ძახილი, სადაც დვალს უნდა მიწყივ ეხარა
მხოლოდ ხევსურნი და მოხევენი, მედგრად იცავენ, ნაბიჯს არ თმობენ
მომხდეურნი, მათთან შეჭიდებულნი,

გლოვებს კარგავენ და ბედსა გმობენ
აქეთ შიშიტას, რაჭის ერისთავეს, უჭირს და მაინც ომახიანობს
ჩაღმა მხარეში საძოვრებს იცავს, თუ საჭიროა ხმლითაც ხმიანობს
რამდენი გვქონდა იქით მიწები, დიგორ, ალაგორ თუ ბასიანი
ყველა მომხდეურთა დაისაკუთრეს, დღეს რაღა დაგვრჩა იქ ფასიანი?
პირიქით სეანეთს, მთებს და ხეობებს ყაბარდოელი ეპოტინება
ქლუხორს და მარუხს კიდეც გადმოვლენ, ჩვენ თუ ამის მივეცით ნება
ახლა მიამბეს თავად აფხაზნიც, მომხდეურთა გამო შეწუხებულან
ანაპა მტრისთვის გადულოციათ, ჯიქებთან ასე შეთანხმებულან
გალენა-ჯიხა¹ ალყაში არი, მალე ხოსტამდე მიგა მომხდეური
აფხარნი ლიხში მოგიყვნიათ, კოდორთან ისმის მათი ხმაური

დადიანი ადაგდენს და ამაგრებს ცნობილ კორახის კედელს. (კორახი მდ. კელასუბის ძველი სახელწოდებაა). ამ გზით ცდილობს დაიცვას მეგრელები აფხართა შემოსევებისან.

შარვაშიძეთა წამომავლობის შესახებ სხვადასხვა ვერსიაა. ერთის მიხედვით შარვაშიძები შავლიანთა საგვარეულოს გაკრძელებაა, მეორე ვერსიით შარვაშიძები შარვან შაპის (თამარ დედოფლის ნათესავის, აფხაზებთში გადასახლებულის) შთამომავლებია. დღევანდელ აფხაზ მკვლევარებს დიდი სურვილი აქვთ „დააღგინონ“ შარვაშიძეთა ადიღენური წარმომავლობა, შეძლებენ?

1. ადილი მეგლევარი პრიულებინი მერტეულოვის დასკვნით, კრასნოდარის მხარის ქალაქ გლენჯიკის სახელწოდების ახსნა, მხოლოდ მეგრული გალენა – ჯიხა უნდა იყოს, რაც გარე ციხეს ნიშნავს.



Ռուզեմղյ զօպոտ գատօնվալցի, չաշրու դա ծողմութ դասկած գաղլցի
կըրած Շյմոզլցն, գատամաճյեն ույ դաշեմոնյու գատանցալցի

Շարշամիջ — ճոճո մեցոյ, զաերանց ձափռո,

Շյեն հափոմ ցինճա, մյ մոցացոնո

Ռաց ჩեմո արո և եաս ճայլուցո դա մուս ազո մյ մոմաբոնո
մարտալո արո Ռոմ այեանցու մույլ սայարտալուն եղցա ճարաչալ
ատասցար մոմեցուր զօցերոյեծու, յե զալու ցանցա մմօմյ նարաչալ
ացեր և մոմոնո, մուրուուլունիո¹ դա անհայտամյ տացալու ճոճո

օցուան Եվրուլագ Ռուզու ռա օյո, բարևուլուսակյն ցայլցատ եօնու
Ռուցա ամ մեարյս արշեյս — այեանցու, այրուունյս մրացալու ტոմո
ճայլայլուն ճամտաշրջա մամին, մովյա-մովյա դա մուժա ռմո
პարուույուսու լլցոնո օյո, პարուույուսու համոմացալո

նոյոցսուունան² լուսամյ Շյելու մուսուլու մուրուուտայու ճայլու
դա մուս այյու իշենու յըտոնա, արց ճարուցայլա իշենու մունյուու
ար ճացատմու և եասուտայու մամյու դա ար ցայլունա և եասուտա ցայլուն
մոյունցիու քայտեյ, ճամտանյեն նոյոցսուունա զօնու մմլաշրջածնյեն
զօնու օցաշրջեն և ամեցու սահլցրցիու

ճա մեարուակյերաս զօնցանա ցրմնոծնյեն

Ռուցա կոեթաստաց³ Շյեշրջեն Շյելուլոնո,

շուրբյ ճաճուանս Շյեմիյ զօն ակլու

Ռուցա ծրիյոնցալյեմ⁴ մույխու ձալցիու,

յայցենու ճուայեա զօնու ցանակլու

ակլա այց շոյեատ, Ռուցա սամյոցու Միյայել ծրիմուլյեմի ճակարցա մալա
Ռուցա Ռուսունան⁵ ճյուոյլունու ցամո, յրուունոնա համուումալա

Ռուցա յալուրո ճյուոնու ցրմնոնամ, յայցենու մունանու արալ այցու

ալմուսավլցու մույր Շյելու, ճալուալու յըտ յամույցու

1. Շարշամիջէս Եյցուունի նասցալուսա ակլա մուրուուլունիու և մունու իշեմիջ ճա տացալու անհայտամյ. (ակլա յե ցարու անհամայ օտյմյին).

2. նոյոցսու — սայարտալուն սամյոցու ճակասուտցի (ցայլուայուլու) օվյածու նոյոցսուունա.

3. 1247 թ. մոնղուլյեմիս Բանաճմայց կոեթաստաց Շյեշրյեմուլ Շյելուլյեմիս մորու օյո շուրբյ ցարունու մյ ճաճուանու. օյո սամյցրյելու — այեանցու մեարյս ցանացեմա.

4. մեցալունամու ցուրցի ծրիյոնցալյ. սամյոցու ցամայրուունյելու.

5. Ռուսունան ճյուոնու այցու և կուլան կուլան ճյուոնու ճյուոյլունու սամյոցու Ռուցայու և ճասանյու և յետեցցա ճա ցանապունյեմիջ. „յարուու կերպունյա” ար մալայու օմ ճըռոնու Ռուցունու.



ლიხიდან აქეთ, მთლად აფხაზეთი, ერთიანობის გრძნობას იცავდა მტერი იქ მისვლას ვერა ბედავდა, ციხე-სიმაგრეს მხარე მიჰვავდა მაგრამ როდესაც ბაგრატიონთა სამეფოდ დაყვეს ქართლი კახეთი აქეთ იმერეთს ცალკე გამეფდნენ, იუკადრისეს „მთლად აფხაზეთი“¹ ჩვენ რაღა გვექნა ზურგ შექცეულთა, ცალკე აფხაზეთს სამანი დავდეთ თუ დაგვიწყებენ მტრობას მოყვრები,

როგორლა მოგვთხოვთ ერთგულსა ვგავდეთ?
მით უფრო, როცა თურქი გვძალავდა

და მხარში მდგომი ვერავინ ვნახეთ
მაინც შევძელით თავი დაგვეცვა და რწმენაც გულში შემოივნახეთ
მიტროპოლიტი სიმონი მახლავს, მისი გალობა კაფამდე² წვდება
ჩვენი შეწევნით და თავდადებით, ეს გაგრძელდება და არ შეწყდება

მიტროპოლიტი სიმონ ჩხეიძე — შენი ნებართვით, მეფევ ბატონო,

აფხაზებს ერთში დავთანწმები
ქართული არი წირვა-გალობა, ქართული ისმის მლოცავთა ხმები
თუმც ჩემი სამწყმსო არეულია, იწერენ პირჯვარს, ანთებენ სანთელს
ზიარებასაც ქართულად ვამბობთ,

და დავუმკვიდრებთ გულებში ნათელს
მაგრამ გაჭირდა, ყირიმის ხანი ჩვენსკენ ურჯულოთ მოერეკება
კალიასავით შემოგეხსივნენ, შენ შეაჩერო მტერი ეგება

თავადი ანჩაფაძე — ვკადნიერდები, მეც დავამატებ,

ჩვენ ერთგულება მუდამ გვჩვეოდა
ამიტომ იყო ათასი მტერი აფხაზეთს გარე რომ ეხევიდა
ჯიქებს არ ვიტყვი, ხახარ, ყივჩაღებს, ბუნებირივია, მტერი-მტერია
სავალალოა უცხო მომხდეულებს თუ შინაური გამოერია
შორს რად წავიდე, დღეს კარგად გვახსოვს,

თავს რომ დაგვეცა დიდი ლევანი³

1. მთლად აფხაზეთად – დასავლეთ საქართველო მოიაზრებოდა. ბევრი წყარო მთლაინად საქართველოსაც აფხაზეთად იხსენიებდა.
2. კაფა-ს – ძველად მდ. კუბანს უწოდებდნენ. აქამდე ვრცელდებოდა ქართული ეკლესიის გავლენა.
3. ლევან II დადიანი, რომელიც სამეგრელო – აფხაზეთის მთავრად ითვლებოდა, ცოლთან აფხაზეთის მთავრის ასელთან) გაყრის გამო, გადაემტერა შარგაშიძებს, 1628 წ. (ილია ანთელავას ცნობით) აფხაზეთი ავაზაკურად მოინადირა. მდ. ბზიფიდან მან მარშანიები დაამარცხა.



მარშანიები ატყვევნა ბზიფთან, არც გამიგია მტრის რისხვა მგვანი ჩვენ დიდს კი ვეტყვით, მაგრამ სიდიდე მოყვარის ცემით გაიზომება? განა იზრდება კაცის სახელი, ერთ სიბოროტეს სხვა თუ მოება? ლევანი ვგმტობდა და სამეფოში არავინ იყო ჩვენი დამცველი მეფე ქუთაისს გამოკეტილი, უძღლური იყო მოელო ხელი¹

ლევან III დადიანი — დიდი ლევანის აუგს რომ იტყვით,

აფხაზებისგან გასაგებია

თქენგან იცავდა ოდიშის მხარეს, კედელიც მისგან ანაგებია² ანაკოფიას³ ექით მიწები, არ იყო მისგან დანაფიცები? თქენგან ნაკვებნი ნაქირავებნი, არ იყო მისგან დასამიწები? საყველურის თქმა იოლი არი, ჩემი შენ გითხარ, მოგიკალ გული მაგრამ ბოლოს ხომ გამოირჩევა, სად მოშურნეა და სად ერთგული დიდი ლევანი თუ არ დიდობდა, თუ არ ადიდა ქვეწად მამული ბზიფთან თევზებს ხომ არ ნადირობდა, ან განბი ჰქონდა გადამალული? თქენი სამთავროს ეკლესიები შეწირულებით მუდამ ძლიერი ვის მიერ იყო კეთილმოსილი, ვისი სიუხვით სვე ბედნიერი მარტო ის რად ლირს პალესტინაში ჯერის მონასტერი გამოისყიდა ეკლესიები აღადგენინა, დაგნინებული ვინაც იცდიდა ვინც ღატაკს სწყალობს, დაჩაგრულს იცავს,

ის საღვთო საქმეს მიწყვი აკეთებს

სხვისი ძაგებით, წყევლით, გინებით, საკუთარს ვერვინ გამოაკეთებს.

შარვაშიძე — მთავარო ლევან, სულაც არ მიკვირს,

მამის მმას იცავ თაგვამოდებით

ალბად სხვაც ასე მოიქცეოდა, თუნდაც ყმა იყოს თავის წოდებით არ გსაყველურობ, მაგრამ რაღანაც, დღეს მეფის ნება გვაერთიანებს უნდა ითქვას და გვერდზე გადავდოთ, რაც ამ ერთობას დაახიანებს

1. იმერეთის მეფე გიორგი, იმდენად უძღლური იყო, რომ ლევან II დადიანმა იგი 1623 წ. ბრძოლაში დამარცხა.

2. შარვაშიძეებმა მარუხის უღელტეხილით გაღმოიყვანეს დაქირავებული აფხაზები (ადიღეველები აბაზას ტომიდან) და სამეგრელოს შეუტიეს. მათი თარეშის აღკვეთის მიზნით ლევან II დადიანმა ცნობილი კორახის (კელასურის) კედელი გამაგრა.

3. ანაკოფია — დღვენდელი ახალი ათონი აფხაზებში. ამ ციხეს ამაგრებდნენ ქართლის ქრისტიან სტეფანოზის ვაჟები მირი და არჩილი. აქ აწენიეს 735 წ. მარცხი არაბებს. ვახუშტი ბატონიშვილის დახასიათებით. „ხოლო ანაკოფიის დასავლეთი არს აფხაზეთი, პირველად წოდებული გრეთვე ეგრისი“. (ქართლის ცხოვრება. ტ IV. თ. 1973. გვ. 783).



ბიძის მეუღლე და დედოფალი, ჩემი სისხლია, ჩემი მამიდა შარვაშიძეთა ტურფა ასული, როგორ იტანჯა, როგორ წავიდა ვინ მოიკითხოს მე თუ არა ვთქვი, ავ-კარგი სხვამ ვინ გამოიძიოს დამნაშავეა? პასუხი აგოს. ცილ ნაწამები? — შური იძიოს ამიტომ ვამბობ, სხვაფრივ შენც ხედავ,

სამტროდ არა ვარ ზუგდიდს მოსული
დიდი ლევანის აუგს თუ ვიტყვი, არ ნიშნავს შენზე ვარ გულმოსული
მისგან ნათესი მტრობის შედეგად, ორივე მხარე ვზარალდებოდით
ყირიმის თათრებს, თურქებს,

აფსარებს მამა-პაპურად ვეღარ ვხვდებოდით
ახლა დროება გამოიცალა, მეფის წყალობით ერთობას ვჭედავთ
ერთ სამეფოში თავს მშვიდად ვიგრძნობთ,

ერთი-მეორის შურს ვერ გავბედავთ
ზუგდიდს მოვსულვარ, რომ ვახტანგ მეფეს,

თაყვანისცემა გამოვუცხადო

გვერდით დავუდგე, თუ საჭიროა, მამულისათვის თავი გადავდო

ვახტანგ მეფე — რასაც მიაღწეოს, — იმით ამაყობს,

ასეთი არი კაცთა ბუნება

ასე გრძელდება სანამ ღვთის ძალით, მოხდება უკან შემობრუნება

ყველა მთავარი სამეფოს ანგრევს, ნაწილ-ნაწილად იჭრის და ითლის

ზოგჯერ მეფესაც თუ შეებმება, დიდ მიღწევად და დიდებად ითვლის

ლევან დადიანს, მე გამიგია, გურიელები გაულახია

იმერთა მეფეს თავზე დასხმია, თავი დევგმირად დაუნახია

მე ისაც ვიცი აფხაზთა მთავარს, დადიანებთან მტრობა პქონია

მაგრამ რა იყო ამის მიზეზი, არ ვიცი და არც გამიგონია

თუ მომახსენებთ, მეცოდინება და ამის მერე ვქნა სამართალი

რათა თქვენ შორის მოისპონ მტრობა, აღარ ეძიოთ მტყუან-მართალი

მიტროპოლიტი სიმონ ჩხეიძე — მეფევ, მე ვიტყვი მტრობის მიზეზებს

და სამართალი შენ გაარიგე

ამათ რომ ჰკითხო, თაქს იმართლებქნ, ორნივ სიმართლის არი მორიგე

ლევან დადიანს, მამის ძმის დაცვა, ბუნებრივია, მოესურვება

აფხაზთ მთავარსაც ხომ გულს უგმირავს მამიდამისის ჭირი-ურვება

დამეთანხმები, ასე იქნება: ცალკე ორივე მართალი არი

მაგრამ სამეფო ხომ ზარალდება. დასარეკია განგაშის ზარი



მით უფრო მეტად,

რომ მთავრებს შორის ქალი გამხდარა მტრობის მიზეზი
ოდიშისა და აფხაზეთისთვის, ქალმა შეცვალა სავალი გეზი
და საერთოდაც, იმერთ სამეფოს, კაცთა ნაშენებს, ქალი ანგრევდა
რა მოჰყვებოდა მიხტომ-მოხდომას, ამის შედეგებს არავინ სდევდა
მეფე-მთავრები ერთი-მეორეს ქალების გამო ეომებოდნენ
ოქროს იხდიდნენ, სოფლებს სწირავდნენ,

შების გაყიდვას სიკეთედ ცნობდნენ
ბევრს არ მოვყვები, თავად არ მახსოვს, მაგრამ სხვებისგან გამიგონია
ლევან დადიანს¹, ასი წლის უკან, ლევანი ერქვა, ასე მგონია
არა ლევან დიდს, იმის წინაპარს, საგმობი საქმე ჩაუდენია
თუმცა კი მიჭირს, მაინც მოვყვები, დადიანისთვის რაც საწყენია
ცოლი გაუშვა თურმე ოზურგეთს, გადაიმტერა გურიელები
რაღავან ბიძის ცოლს თურმე ჰყვარობდა, უწესო გრძნობით განახელები
ბიძას წაართვა თანამეცხედრე, ცოლად დაისვა, დაიცხრო ვნება
და არც დაფიქრდა, ასეთი ქცევა, მომავლისათვის რას ეგვანება
გურიელებმა შერი იძიეს, შედეგი მათაც არ მოიძიეს
ლევანის ქალი როლად წაიყვანეს და უწესობა მით მოიწიეს
რძალი გაუშვეს უკან შმობლებთან, ავი ჭორები გაატანეს თან
შემდეგ, თურქებით შეშინებულთა, ფულით იყიდეს ზავი ლევანთან.
ეს ერთი გითხარ, შენ შეაფასე გურიელები, დადიანები
ქალის გულისთვის ერთმანეთს მტრობენ,

რომელი იყო კაცის მგვანები?

მეგრელების და აფხაზთა მტრობაც, ქალის გამოა ჩამოვარდინილი
ქნელია, როცა ქალი ბრუნდება ცილ ნაწამები და შერცხვენილი
დიდ ლევანს ვიტყვით, არა ვკითხულობთ რა ხაზით იყო ლევანი დიდი
სხვებზე მძლავრობდა,

მეფეს თუ მთავრებს უნდა პქონოდათ შიში და რიდი

1. ლევან I დადიანი (1535-1583 წწ.) — მან როსტომ გურიელის ასული ცოლად მოიყვანა. სიმამრის გარდაცვალების შემდეგ, ეჭვიანობის ნიაღაგზე გაეყარა. ბიძას ბათულის ცოლი წაართვა და დედოფალად დაისვა. გიორგი გურიელმა შეურაცხოფა არ დაითმიან, ჯერ ლევან დადიანის ასული ითხოვა, შემდეგ გაუშვა და ამით შერი იძია. მაღვე გურიელმა და იმერეთის მეფებმ ერთად ოდაში მოახრეს. დადიანი თურქებს შეუთანხმდა დახმარებაზე. გურიელი შეშინდა და ქალის გაშვებისათვის დადიანს ჯარიმა გადაუხადა. ასე დაზავდნენ დროებით.



ჭაბუკი იყო დაღვინებული, როს მოინდომა აფხაზთ სიძობა შარვაშიძეთა ქალი ითხოვა და განამტკიცა ერთობა-ძმობა ორი ბოკვერი, ერთ-ურთზე კარგი აფხაზმა ქალმა ლეგანს აჩუქა დრო გადიოდა, აზრი იცვალა, ვნებამ იმძლავრა, დღე გაამუქა ლევანმა ცოლზე იეჭვიანა, იყო თუ მხოლოდ ცილი დასწამა? პაპუნა ვეზირს ბოლო მოუდო, ქალიც დასაჯა და გააწმა შეძლევ დასჯილი მშობლებს მიუგდო, თან გაატანა თავის შეილები შარვაშიძეთა ნალოლიავნი, სადადიანოდ გამოზრდილები კაცი, რომლიც ცოლ-შვილს გაწირავს,

სხვის სასიკეთოს რას მოიგონებს?

ბრძენს დააღონებს, მტერს გააცინებს

და სისულელით თავს მოიწონებს

სხვა რა ვაკადრო ლევან დადიანს, ფიქრობდა გახდა მეფე დაადი ყელა დაამცრო და დააკინა, შჩანი იყო მისთვის, წყვდიადი ბოლოს აიღო ნამუსზე ხელი, ორმაგი გახდა ამით სულელი. ახალს ვერ შეწვდა, გაიმეორა, დადიანების ილეთი ძეელი ლევანს მამის ძმა ჰყავდა გიორგი¹, მცოდნე, ჭკვიანი, გამგებიანი მმისწულს საქმეში არ ერეოდა, არავის ჰქონდა მისგან ზიანი ქმებსაც უყვარდათ სიკეთის გამო, ასე იცხოვრა, ასე იარა ბევრი შეიძლო ოდიშისათვის და ბევრი წყვნაც გაიზიარა ლევანი მასაც გადასწვდა ბოლოს, იქნებ ამიტომ დაერქვა დიდი? ბიძას უყელა, უცებ მონახა, არაკაცობის ხელჩასაჭიდი ჭილაძის ქალი ჰყავდა გიორგის, ორჯერ ნაქვრივალს, მესამე ცოლი ნესტან-დარეჯანს, ასე ამბობენ, არავინ ჰყავდა, სატურთოთ ტოლი

1. ლევან II დადიანს (დიდად წოდებულს) ჰყავდა მამის ძმა გიორგი, რომელსაც ლი-პარიტის თანამდებობა ჰქონდა და გველნა სამეგრელოში. ორჯერ დაქვრივებულს, მესამე ცოლი ნესტან-დარეჯან ჭილაძე ჰყავდა. გაამაყებულმა ლევან დადიანმა, არად ჩააგდო ნათესაობა, ეჭვიანობის საბაბით გაეყარა სეტემბონ შარვაშიძის ასულს, და-მახინჯებული ქალი ორი ვაჟით, შშობლებს მიუბრუნა, ბიძას ცოლი წაართვა და შეირთო. გიორგი დადიანი ამის მერქ, მალევე გარდაიცვალა. არის აზრი, რომ მას ამ საქმეში „დაეხმარნენ“.

შარვაშიძეები გარკვეულ პერიოდში აღიარებდნენ ლევანის ჰეგემონობას. ამ ამ-ბების შემდეგ დაწყეს აფხაზთა (რუსებისათვის აბაზინთა) დაქირავება და დადიანს შეუტიტის. ამან აძლევა ლევან დადიანი განეხლებინა ისტორიული კორსის (კორაქ-სის, კელასურის) კედელი, ამან ვერ უშეველა. აფხაზ – აფხარებმა მდ. ენგურამდე მიისაკუთრეს სამეგრელოს მიწები.

ლევანმა ბიძას ცოლი წაჰეგვარა, გნება დაიცხოლ და გაიხარა
პატიოსანი როგორ იქნება, ვინც სხევებს ჰლალატობს, თან წარა-მარა
შარვაშიძებს რა ექნათ მითხარ, სიძის დალატი თუკი ეწყინათ
შერიგებოდნენ მის თავხედობას და უარესი კიდევ ეთმინათ?
მით უფრო, როცა იმავ ხანებში, მთლიან აფხაზეთს შემოუტია
ბზიბთან გალახა მარშანიები და გასაქცევიც არ დაუტია
შარვაშიძებს აქვთ სიამაყე, რაც ეკადრებათ, იმის მიერი
აფხარები ჰყავთ ნაქირავები, ლევანზე ამით გახდნენ ძლიერი
მეგრელებს აქეთ შემოუტიეს, ვეღარ იცავდა დიდი კედელი
გაღმა მოდავე, გამოღმას ჰყარებავს, უბედურების ხდება მჭედელი
გახტანა მეული — ლევან პირველი, ლევან მეორე, მესამე.

ლევან მესამის წინაპრებია
ერთნაირია ორეული ცოდვა, ცოდვა ცხოვრების თანამხლებია
გასაგებია კაცის სურვილი, ლამაზსა ნახავს, თავისთვის უნდა
ბევრჯერ შედეგი არ ანაღვლია, ბოლოს მოხვდება ჭორების გუნდა
უფალმა როცა შექმნა სიცოცხლე, ჯერ კაცი შექმნა და მერე ქალი
რათა ქალს ხელი არ შექმალა და არ დაეწყო კაცის თვალ-თვალი
ქალის ბუნებაც არი ისეთი, კაცი თუმც მოსწონს სიტყვას ვერ ბედავს,
ზოგჯერ შურითაც ამოიგსება,

სასურველ კაცს ოუ სხვა ქალთან ხედავს
ათასგარია ურთიერთობა, ამის გარჩევას ვინც დააპირებს
ჩამოშორდება ცხოვრების სწრაფვას, ეკლესიაში გაინაპირებს
ცოლს მეტ დავშორდი, შეიღების დედას,

მთელი სიცოცხლე ვინაც მიყვარდა
იძულებული ვიყავ ეს მექნა და გამორება არ გამიხარდა
შაპის მოთხოვნა იყო ასეთი, მეც ვერ დავძლიე სპარსული წესი
სადაც არა ღირს – გაცლა სჯობია, ასეთი არი ბრძენის ნათესი¹
მეც დავყევ ნებას, მით ავიცილე, ერისთავებთან ბრძოლა-ჭიდილი²
შეკითხების დედა თავად დამკაილდა, ჰქონა არეული და გრძნის ხდილი

- „სადაც არა დირს, გაცლა დირს, კარგისა მამაცისაგან“ - შოთა რუსთაველი.
 2. ვახტანგის – იმ დროს ქართლის სამეფოს გამგებლის (მოურავის) გამეფების წინააღმდეგი ბევრი იყო. ზაალ არაგვის ერისთავი ჯარით იყო ავლაბარს მისული, რომ ვახტანგის გმეფება არ დაშვა. როცა ვახტანგი მეუღლეს (როდას) გაშორდა და დედოფლილი მარიამი შეირთო შპის ბრძანებით, იძულებული გახდა უკან დაუხა.



რატომ დავმალო, ამ განშორებით, გადავარჩინე საშშობლოს ბედი
ჯერ ქვეყნის საქმე, მერე პირადი, ასეთი მომწონს კაცი მოქმედი
ლევან პირველს და ლევან მერორეს,

სული საღმრთოდ არ გაუხედნიათ
უტარებიათ თავის სურვილი, მეზობლისკენ არ გაუხედნიათ
კარგად გავუგე შარვაშიძეებს, შურისგებაც არ გამკვირვებია
მხოლოდ ერთს ვწუნობ, დასაწუნარიც ძლიერთან ომის თანამხლებია
ომის დროს ყველა ხერხი კარგია, მათ შორის რაზმი ნაქირავები
მოსულს მტერს ისე მიესევიან, როგორც ძალლები ფარის, ავები
მაგრამ ბრძოლა რომ ჩამოთავდება, თუ რაზმი უკან არ გაისტუმრე
თუ ჩაისახლე, გაათამამე, ნიშნავს საკუთარ ბედთან იხუმრე
ჩასახლებული, ხიხნად მოსული, დამხდურზე მეტად თამამი არი
მოვა დრო, თავზე აგაცოცდება, რომ გაგითენოს დროება მწარი
მადლობა ყველას, დრო შეიცვალა, ლევან მესამე არაფერს დაობს
ძველ წყენას თქვენც თუ დაივიწყებდით,

მხოლოდ შშვიდობის პირობას კმაობს
თქვენ თუ შერიგდით, ამიერიდან, აქ თუ შშვიდობა ჩამოვარდება
წაგალ, მივხედავ სამეფო საქმეს, რაც გულზე მაწევს და მედარდება
შარვაშიძე — მეფევ, კარგად თქვი ჩემი სათქმელი,

რაც ვარ მთავარი, ცხოვრება მთელი
გაორებული გრძნობები მტანჯავს, ორივესი ვარ მტერი და მცველი
ერთ მხარეს ჩემი აფხაზობაა, აფხაზად ყოფნა მეამაყება
შურსაძიებლად ყალყზე დგას გული,

და აღარ ვფიქრობ მას რა მოყვება
მეორე მხრივ კი, თუ შურს მივსდიე,
მტრების ალყაში კენტად დავრჩები
გულს თუ ვუსმინე და ხმალს მოვიქნევ,

აქეთ მოქნეულს კი გადავრჩები?
გრძნობის აყოლა დიაცსა შვენის, კაცმა გონებით უნდა განსაჯოს
საქვეყნო საქმე წინ დააყენოს, თავი არ გასცეს და დაისაჯოს
აფხაზებს მართლაც ბევრი გვყავს მტერი,

ყველასთან ბრძოლა კი არ ეგება
ზოგი მტერი კი მტერს რომ დაჩაგრავს,
დაჩაგრულს ჩვენსკენ მოერებება



ჩვენ იმერეთი და სამეგრელო, იმედად გვყავდა და გვიფარავდა
როცა დავშორდით, ბრძოლა ავტეხეთ, დავსუსტდით,

მხარეც დაპატარავდა.

მე ვინ მასწავლოს ჩემი წარსული, ვინ გამახსენოს კარგი თუ ავი
ვინ მიმკითხაოს ხვალ რა იქნება, თუ ერთბისთვის არ დავდე თავი
ამიტომ არი არაფერს ვდაობ, მშვიდობისათვის ვარ მომართული
ბაგრატი ვერას გადამიწყვეტდა, დადიანებთან დავა მაქეს როული
მაგრამ მეფე შენ, სხვა ძალა მოგდევს, შენი სახელი სხვა იმედია
შენ შემოგყურებს ამერ-იმერი, სახელიც საქმის შემოქმედია
წინ გაგვიძეხი, უკან მოგყვებით, აფხაზები ვართ, ასე გვჩვევია
ბრძნი მიიღებს, სულელი დაგმობს, იმედს რომელიც კარზე სწვევია

ლევან დადიანი — აქ შევკრებილვართ,

რათა ერთობით მტრებისგან თავი გადავირჩინოთ
სხვისი არ გვინდა, რაც დაგვიკარგავს,

უკან მივიღოთ და დავირჩინოთ
რამდენს მივაღწევთ, არავინ იცის, მაგრამ ცდა ბედის მონახვრე
კაცი ცოცხალი ქვას ეხეთქება, მისი ტრიალი შეკრული წრეა
ახლა თუ ვახტანგ მეფის წყალობით, ჩვენში მშვიდობა ჩამოვარდება
უწინ რა იყო საშურ-საწყენი მომავალს აღარ დაედარდება
შვილად მიმიღო, ძმისწული შემრთო, ვიტყვი, ამ ქვეყნად ბედი მქონია
გურიელებთან და აფხაზებთან მშვიდობაც მისგან მონაქონია
თავზე დაცემა, ხოცვა და ტყვევნა, აღარ იქნება კაცის ხელობა
ერთიან ძალით მამულს მივხედოთ,

აქეთ წარვმართოთ ჩვენი მცდელობა

ქაჯი — ეშმამ, რომ მუდამ არ იეშმაკოს, მისი არსება როგორ იქნება
მატყუარასთვის დამე დღე არი, დილა საღმოდ გარდაიქმნება
აბა შეხედე კაცების შრომას, ერთობისა და სიკეთის ნდომას
ზოგჯერ წყენასაც არ შეიჩნევენ, სიტყვა-პასუხში იცავენ ზომას
შენ გაიძახი კაცი ქაჯია, საქმეს ქაჯობა რა შეამჩნიე
ტყეილის თქმასაც მოზომვა უნდა, სჯობს კბილებს ენა დაატანიე

ეჭვა — შენ რომ ქაჯი ხარ, გასაგებია, სიბეცე გჭირს და უკუღმა ხედავ
ჩასაცმელს უმშერ აღტაცებული, ატაცებული სიტყვას მიბედავ



ის ჩასაცმელი რა ტანს ითარავს, ტანში როგორი ფართხალებს გული ენა ერთს ამბობს, გონი სხვას ფიქრობს, კაცი ქაჯია გაორებული ლევან დადიანს, ლევან მესამეს, წინა ორისგან ჯიში არ დაჰყვა? ენგურს გადასულ შარვაშიძეებს, უკმარისობის გრძნობა არ გაპყვა? ვამიყი მოკლეს და ჭყონდიდელი, მისი ერთგული უქმად იქნება? დიდ თავადები თავს გადადებენ, რომ შეასრულონ ბრძა მეფის ნება? ასე ფიქრიც კი ქაჯობა არი, კაცის ბუნების უცოდინრობა ვინაც ტყვის სყიდვით ქონებას იძნეს, იმათვის გჯერა შენ მეგობრობა? მთავრებს არ ვიტყვი და არც თავადებს, შეხე,

რას სჩადის სამღვდელოება

დღისით მონათლულს, დამე პყიდიან, ასეთი არი მათი დროება

ქაჯი — შენ ერთს ჩამდახი, მეორეს ვხედავ

და ამის მერე გსურს დაგიჯერო?

სად ერთობაა ღალატს ვხედავდე, სად სიკვდილია იქ დავიმღერო?

შაპ ნავაზ ხანმა ერი დარაზმა, იმერ-ამერი აერთიანა

კახეთის უყელა, დვალეთი დასცა, ზუგდიდს ჩამოსვლა არ დაახანა

რაჭა, ლეჩხუმში, ორივ სვანეთი, მათთან უზრია და იმერეთი

აერთიანა, ახლა დაურთო ოდიშარები და აფხაზეთი

ყველა ერთად კი დიდა ძალა და თუ განგებამ კიდევ აცალა

ნიშნავს აჭარა და ჯავახეთი, თურქებს ხელიდან გამოაცალა

და ამის მერე აქეთ გამცინე, კაცი ქაჯია, ასე იძახე

ამიერიდან დამალე სახე, ვეღარ დამიგო სიცრუის მახე.

(რამდენიმე დღის შემდეგ – ქუთაისი. მეფის სასახლე)

გახტანგ მეფე — ირგვლივ თუ ყველა ცვალებადია,

უფრო იცვლება კაცის გუნება

კაცს ქალი სჭარბობს ცვალებადობით, ასეთი არის მისი ბუნება

იყო დრო, როცა სიტყვას კაცისას სიმტკიცე ჰქონდა კაუის, რვალისა სხვანაირია დღეს მისი ფასი, რისი იმედი მქონდეს ხვალისა?

შაპს დავუმოყერდი, სიტყვა მივეცი, სანაცვლოდ აქეთ მომცა პირობა ამერს და იმერს ერთად შევეკრავდი, გამომეჩინა უნდა გმირობა

აგერ, პაატა მყავს აბაშიძე, მასთან დემეტრე გურიელია



ամառ գարշել, զերս մշշմկլեթծո, զազլուծո եղլեթբարոյելուա
եռևսաս զմադլոնք, ջուզո մոմբա դա զցըրծուտ դամիօցնեն լոյթեյմշլեթծո
միօտ մցլելոնծոտ րաժսաս դա սցանետս ցամոնցլուլու

այշտ հյմիսկյն եղլեթծո
լոյցան ճաճօնանս մմունչյուլո մշշմուզոմթէյց
Շարշանմիժնո մենցուզեն խոյցլուծո, յրուցուլութանց ենծոտ վայուց
ռուցա զոյցոյշրջ սամեցու մշշմկար, ամեր-օմերո զայրտուանց
զոնաց մոմինթոր, օյշտ մոյցնցու, մատցան արշոն զայշչուանց
աելա մոցուց մակուս ոյորմանո, դա զոնաց մյոյցեարտ կացուրած սանգուտ
յրուած մշշմկրուցյուտ, ռոմ զուտատօնուտ, ռոցոր,
ռա առո, յրուած ցացանցուտ

եռնույարս մակուսուց մոյցիշրուա, մյ միօնցուս դա տան մյմշյելրուի
տոյ առ ճացուցու մմերուա մեսարյ, մմերու ենցեցա մալլյ ցայրուա
հիցյ շնճա կարցած ացինոն-ճացինուտ, ռա մշշմզումուա դա ռա զուցունուտ
յրուուց մթէրուա, մյորուց մթէրու, ռոմ წացահեյցուտ ռա մոցուցունուտ?

Ճապար աճամուց — մակուս ոյորմանուս առած հացանցան,

ծյուրուց ցանցունցու, առ ցամոցցուա
եյս ռոմ մշշմկեց յրու նապուցուսուտուս,
միոյցու ճացու մկցանց ծյուրու ճակցուա
զոյցոյշրուտ, այս առ ճացցոմարուուս, մցորոյց ճակցու առ ցալցապուլուտ
ռաս ռա սչունիա կարցած ցանցսանցլուրուտ,

բարբարուուտ პորու առ ազոյրուլուտ
ճալյս սայարուցյուլո, մակսա դա եռնույարս,

լունս այշտ-օյշտ այշտ ցապուցուլո
բառ-կլարչյուտո արարու կո ցանցեացուս, ռաու սանցչյա ենցեա յուցուլո
այսու ճորուս շնճա զոանցարումուտ ռա մշշմզումուա, ռա մալլա մոցանցուս
ռոցոր ճացունեատ սուցութելուս բյարու,

ռոմյունուց մթէրուց շնճա ճացու
մյուս մցլելոնծոտ, հյենո մշշմենու, մմեր-օմերո զայրտուանցու
մոռալլաթինո խորցից ճացուուտ, մոցարյ առսած ճացանցուանցու
մացրամ յես մեռլուծ հյեն ցայենեծուուտ, զոնց հյենո առո մթէրո-մոցարյ
մակսաց, եռնույարսաց այս մցլելոնծոտ, մալլա ցայիշյենցու,

ծոլմա մոցցարյուտ
մացրամ յես մալլա օմատ մալլաստան, ռոցորու առո ճասաճարյեան



ეს უნდა მეფემ იანგარიშოს, შეწევნას მე არ დავეზარები
დემეტრე გურიელი

მე კარგად ვიცი, ხონთქარს აცნობეს,

თითქოს მეფეს სურს ჩვენი დაპყრობა
ასლან ფაშას სურს ასეთი ხერხით, ცხადი გახადოს ფარული მტრობა
შაპსა და ხონთქარს ჰქონიათ ზავი,

მათ შორის სუფეეს ვითომ მშვიდობა
მეფე შაპს მოყვრობს, ეს ნიშანია ხონთქარი მეფეს ვეღარ ენდობა
ხონთქარს იმერი თავისად უჩანს და თუ იქ ახლა მეფე განაგებს
ნიშავს, რომ შაპი მეფის მცდელობით,

საძირკველს უნგრევს ხონთქრის ანაგებს
ამიტომაა ხონთქრის სურვილი, მეფემ იმერი რომ მიატოვოს
ვახტანგი წავა, ბაგრატიმ უნდა კვლავ მფარველობა

ფაშასა სიხოვოს
ჩვენც ძველებურად დავიქსაქსებით, გარემოცულნი ძლიერი მტრებით
ვეღარ გავარჩევთ ერთგულს

და ორგულს და ისევ თურქთა მსხვერპლი გავხდებით
ეს რომ არ მოხდეს, უნდა დავთიქრდეთ როგორი ვნახოთ გამოსავალი
რომ საქართველო კვლავ ფეხზე დადგეს,

და გავისტუმროთ მომხდურთა ვალი
ბაგრატ მეფე — როცა ვახტანგი საჩხერეს მოსდგა,

ვითიქრე უნდა რომ დამეხმაროს
ჩემი სამეფო გააძლიეროს, ვამიქზე ჩემი ჯავრი იყაროს
თურმე ვცდებოდი, მე უსინათლო,

ვახტანგის საგალ გზებს ვერ ვხედავდი
როცა ქუთაისს დაეპატრონა საყვედურსაც კი სად გავბედავდი
ერთხანს იმდი მქონდა მცირედი, როცა თამარი ჩამოიყვანა
ვითიქრე შემრთავს, დამიმოვკრდება, ამის უფლება არ მქონდა განა?
თანაც იცოდა თამარს ვეტრფოლი, ქეთევანისგან მიტოვებული
სინამდვილეში არად ჩამაგდეს, ისედაც ნატანჯს მომიკლეს გული
თქვენ კარგად იცით, დედინაცვალმა, როცა წამგვარა თვალის სინათლე
სამეფო ტახტი დაისაკუთრა. ფაშას ვაცნობე მაშინ სიმართლე
ასლან ბატონმა, ახალციხელმა, პირობა მომცა და მიპატრონა
მას შემდეგ იქით ვატყობინებდი, აქეთ რაც ხდება და გამეგონა.



Ռուբա տամարու Շերտղյա դաճօնանէ, գշերձի ճամբուզյուլո
ցամաս ըս Եվրուլա ծեզաթյուննէ, ճա ճազոմշչու նալքյնո ցշլո
իշշեն ամեցն, տաշու մերուն, եռոնյան և տամբյուլնի Շեաթյուննէն
ոյ բա օդոյիշյա, մյ աճար զուցո, პաշունու արսա գամացեաննէն
ակլա յո ցշցուցն, իշմո նատշամո, Ցշացու սիրագա աշորյուլա
ման մոմիսու եալուս միջու, զոնց ճամոյարա ճա մոյրուցյուլա

Կռևա — Շաքու ջուրման իշշեն ար ցշեցնա,

մերտա մեարյա իշմոն եռոնյան

իշշեն մուս մալա ցամոցուցուա, բաւ շին ոյո, օցու արո
տու մոշոնդոմեցն ճա ցամորշյաննու, չարյեսաց սիրագա ցայրուաննեցն
տու մեռլու ծքոննու Շեմոցոյարցլու,

ճացացանցնեցն ճա տաշու ցայսաց ցանցնեցն
մեռլու մերտու, մոմիծյուրո տուրյո, համդենշյար միարյա ցայլանա
մեյրո մեարյ ցրտա ծեցյուլո տոյոյիշյուրո բոցու ճասանանա

ամուրու յնճա Շաքու մոտեանա, զուուցու ճա ար ցամոնիարու

Շեցաթյուննու լուկու ձանցու, մացրամ սակյատար ցննեցնու ցարու

Ապարա ածանօյ — Շեն բոմ տոյոյիշյ իշմո կռևա, ամանց եասաց կռմ շոյոյիրու
ատաս համյ շուրբնեցն, ուրբնեցնու չաշրո ցաճայուրու

սինամծցուու յո ցրու սեացացրա ճա շոյրո մոյեա բամոհինցու
նոցյար ացինք մեցնա ցահինա, սոցլուս ցոյրյա ար մոցոնցու
իշշեն բոմ այ զմեշյելու ճա սայմես ցարիցու,

ամանց պայլա ճացատանեմեցնա

նախուու տաշագուա սեա ամրո սինչացն,

